*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*სსიპ მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლა*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** ნანა მონიავა

**წევრები:**

ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
ოლეგი გაბრიაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი0;
თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევანი ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი);
ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი).

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 233115107 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი აფენი |
| იურიდიული მისამართი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი აფენი |
| ფაქტობრივი მისამართი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი აფენი |
| საფოსტო ინდექსი | 2700 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Apeni1@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577255407<br>599905040 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 6 23 0000994644<br>15/08/2023წ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 28 და 29 სექტემბერი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხური | ქართული ენა | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი. |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხური | ქართული ენა | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი. |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხური | ქართული ენა | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი. |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | *აღწერა*<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>-----500--------- | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

**1** გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | *სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | *სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში მოპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.* |
| *ინდიკატორი N3.6.2.1.* | *სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;* | *სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეიტანოს შესაბამისი კორექტივები საქმისწარმოების წესში.* |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| | | |
| *ინდიკატორი N3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | *სკოლამ უზრუნველყოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულება (ამსტრონგის ფილებთან დაკავშირებით).* |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური ) | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N. 2.1.2.1...* | *შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;* | *.სასურველია, დაწყებითი კლასის მათემატიკის მასწავლებლებმა სხვა კლასის კურიკულუმის მსგავსად, პირველ და მეორე კლასშიც სრულყოფილად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩოები და ჩააშენონ მასში ის კომპლექსური დავალებები, რომლის შესრულებასაც აპირებენ და რომელზეც ისაუბრეს გასაუბრების პროცესში.*<br>*სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 2.1.2.2* | *კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);* | *საზოგადოებრივი მეცნიერებები:*<br>*სკოლას მიეცა რჩევა: თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში ჩასვას მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით უნდა შეივსოს კურიკულუმის შვიდივე სვეტი (თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებენ კომპლექსურ დავალებებს შეავსონ შემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, გამოყენებული რესურსები. თითოეული თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს საგნის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება შესაბამის ქვეცნებებთან ერთად ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ: კურიკულუმის ჩარჩოში არ არის სვეტი ,,მაგალითი შედარებისთვის'' , სადაც უნდა მიეთითოს დავალლების ნიმუში. ზოგიერთ სავალდებულო თემაში არ არის მითითებული დავალების იდა. კურიკულუმის ჩარჩოებში მიმართულება და სამიზნე ცნება არასწორადაა განსაზღვრული. მასწავლებელს მიეცა რჩევა ზემოთ აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით...* |
| *ინდიკატორი 2.1.2.4* | *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;* | *მასწავლებლებმა წარმოადგინეს ყველა კლასისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების თითო ნიმუში, სასურველია მათ შექმნან მსგავსი სქემები ყველა კლასისთვის.*<br>*სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს.* |
| | **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური )** | |
| *ინდიკატორი 2.1.2.1* | *შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | *სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით საბაზო საფეხურის კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით საბაზო საფეხურის კურიკულუმები შეავსონ* |

| | | |
|---|---|---|
| | | *სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით* |
| *ინდიკატორი 2.1.2.2.* | *კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები* | *საზოგადოებრივი მეცნიერებები*<br>***სკოლას მიეცა რჩევა:*** *თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით უნდა შეივსოს კურიკულუმის შვიდივე სვეტი (თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებენ კომპლექსურ დავალებებს შეავსონ შემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, გამოყენებული რესურსები.*<br>*თითოეული თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს საგნის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება შესაბამის ქვეცნებებთან ერთად, ქვესაკითხები კი გადაიტანონ საკითხი/საკითხთა კლასტერი- ველში. იქ, სადაც საკითხებთან და ქვესაკითხებთან მითითებული აქვთ „სახემძღვანელო, გამოცემლობა, პარაგრაფების ნუმერაცია გვერდებთან“ ერთად - მოხსნან ეს უკანასკნელი და გადაიტანონ ბოლო სვეტში.*<br>*მოქალაქეობის საგანში ჩაასწორონ სავალდებულო თემების ფორმულირება.*<br><br>*სახელმწიფო ენა- -მიმართულებით მიეცა რჩევა, რომ მერვე და მეცხრე კლასის კურიკულუმები გადაიხედოს და კომპლექსური დავალებები ისე გაიწეროს, რომ გააქტიურდეს ყველა სამიზნე ცნება* |
| *ინდიკატორი 2.1.2.4.* | *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;* | *სასურველია მასწავლებლები არ შემოიფარგლონ მხოლოდ სიტყვიერი შეფასებით.,ნიმუშია მიხედვით შექმნან შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის.* |
| | **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური )** | |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;* | *სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით საშუალო საფეხურის კურიკულუმები, კერძოდ მე-11 და მე-12 კლასებისთვის, შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით*<br>*მათემატიკა- საშუალო საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლებმა , უმოკლეს ვადაში განაახლონ და შექმნან კურიკულუმები ყველა კლასისთვის.* |
| *ინდიკატორი 2.1.2.2.* | *კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);* | *საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლას მიეცა რჩევა: თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით უნდა შეივსოს კურიკულუმის შვიდივე სვეტი (თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებთ კომპლექსურ დავალებებს ივსება შემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, გამოყენებული რესურსები.*<br>*თითოეული თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს საგნის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება შესაბამის ქვეცნებებთან ერთად, ნუ დააჯგუფებთ სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს ცალ-ცალკე და ჩაწერეთ შემდეგნაირად: „სამოქალაქო მონაწილეობა - ადვოკატირება, ინფორმირება“; სადაც სამიზნე ცნებაა სამოქალაქო მონაწილეობა, ხოლო - ადვოკატირება, ინფორმირება - კი ქვეცნებებია.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.2.4.* | *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;* | *სასურველია მასწავლებლები არ შემოიფარგლონ მხოლოდ სიტყვიერი შეფასებით, ნიმუშად წარმოდგენილი შეფასების სქემების მსავსად, ყველა კლასისთვის შექმნან შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.*<br><br>*უცხო ენა- სკოლას მიეცა რჩევა: უცხოური ენების,კურიკულუმის ჩარჩოში დაგეგმილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები მიმდინარე სასწავლო წლისთვის.* |

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლა აქვს შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებები, რომელიც დეკლარირებულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის შენობა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული ზონები, არის მუზეუმის სივრცე, თეატრალური სცენა, ღია სპორტული მოედანი. სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისაკენ. პროექტებზე მუშაობა ხელს უწყობს სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, პიროვნებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები/წრეები: ეკოკლუბი- „მწვანე მებრძოლები“, მეწარმეობის კლუბი, ხელოვნების წრე, ინოვატორთა კლუბი - სასკოლო აქტივობები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის სოციო-კულტურული გავნითარების ინკლუზიურ სივრცედ ჩამოყალიბებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნაზე, რის შემდეგაც სკოლის

მისია ხედვა და ღირებულებები შეტანილი იქნა სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შეთანხმდა სამეურვეო საბჭოს მიერ და დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს მიერ.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
   2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შეთანხმდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს მიერ.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე. ასევე კლასის დამრიგებლების მიერ მიწოდებულია ინფორმაცია მშობელთა კრებებზე.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
   „სსიპ მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლა“. სკოლას 2005 წლის 13 სექტემბრის N448-ე ბრძანების და 2020 წლის 20 მაისის ბრძანება N57/ნ საჯარო სკოლის სახელის მინიჭების შესახებ ბრძანებების შესაბამისად ეწოდება აღნიშნული სახელი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N2-107, 01/09/2023. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ადგენს სკოლის მმართველობითი პროცესის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესებზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. აღნიშნული წესი განსაზღვრავს დოკუმენტის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

   ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

   ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა თანხვედრაში იყო სტრაგეგიული განვითარების გეგმის სტრატეგიულ მიზნებთან.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

   სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, შესაბამისი რესურსები.

   სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაითვალისწინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში კორეკტივების შეტანა, რაც წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
   სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს შესრულების მონიტორინგსა და შეფასების მექანიზმებს. შესრულების მონიტორინგის განხორციელება მოიაზრება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად მიღწეული იყო დასახული მიზნები და ეფექტური იყო თუ არა შერჩეული სტრატეგია. მონიტორინგისთვის გათვალისწინებულია ანგარიშის წარმოდგენის მეთოდი ყოველი წლის ბოლოს პასუხისმგებელი პირების მიერ. დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც უნდა შეივსოს ანგარიშის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ, რის შედეგადაც გათვალისწინებულია განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
   სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე ვერ განისაზღვრება შესაბამისობა მეთოდოლოგიასა და განხორციელებულ მონიტორინგს შორის, რადგან აღნიშნული მეთოდოლოგია დამტკიცებულია მიმდინარე წელს. სკოლის მიერ წარმოდგენილია ანგარიში 2022 წლის ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც 10 დეკემბერს სკოლის დირექტორის მიერ იყო წარდგენილი სამეურვეო საბჭოს წინაშე. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით აპირებენ სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებას.
   **პირველადი ავტორიზაციისას არ ფასდება.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
   რადგან სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისად ვერ ექნება ანგარიშიც. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2022 წლის ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც 10 დეკემბერს სკოლის დირექტორის მიერ იყო წარდგენილი სამეურვეო საბჭოს წინაშე, როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება ზეპირი საუბრებით უზრუნველყოფენ საჯაროობას.
   **პირველადი ავტორიზაციისას არ ფასდება.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლაში 2023 წლის 1 სექტემბერს N2-107 ბრძანებით შექმნილია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომელიც სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინებს 2022-2023 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიშს.
   **პირველადი ავტორიზაციისას არ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება N2-107, 01/09/2023, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
   სკოლას ჰყავს დირექცია, ადმინისტრაცია, პედსაბჭო, ტექნიკური პერსონალი, უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, თვითმართველობა, კათედრები და მრჩეველთა საბჭო. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებული ფუნქციები.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებები. ასვე თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული დებულებების შესაბამისად. მათი თითოეული თანამშრომლის ვალდებულებები, ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

   სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში თანამშრომლები წარმოადგენდნენ არსებულ მოთხოვნილ დოკუმენტაციას და ექსპერტებს გვაძლევდნენ კითხვის შესაბამის პასუხებს. სასკოლო საზოგადოების წევრები იაზრებდნენ ფუნქციებს სკოლის მთლიანი საგანმანათლებლო საქმიანობის კონტექსტში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი:
- შრომითი ხელშეკრულებები;

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

   სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შინაგანაწესთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება მასში ცვლილების შეტანა და გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

   პერსონალის მოზიდვა ხდება საჭიროებებიდან გამომდინარე, კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დახმარებით სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი პროცესები, სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს განვითარებასა და სტატუსის ამაღლებაში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

   სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ სკოლას არ ჰყავს შიდა კადრი ამ შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი წესების და ვადების შესაბამისად. დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიას განცხადება განთავსდება www.teacherjobs.ge -ზე. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის თანამშრომელთა პირად საქმეებს.

   თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლების ნაწილს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც შესაბამისობის გეგმაში ჰქონდა გაწერილი და უკვე წარმოადგინა მტკიცებულებებად.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

   სკოლაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში დასაქმებულია 50 თანამშრომელი, 28 მასწავლებელი, 5 სპეცმასწავლებელი, 4 სსსმ მოსწავლის ასისტენტი. სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

   სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. არსებული დოკუმენტი ხელს უწყობს თანამშრომლობით ურთიერთობების ჩამოყალიბებას. თანამშრომლობა ხდება, როგორც კათედრის დონეზე, ასევე კონკრეტული კლასის მასწავლებლების. მასწავლებელებლები კარგად იცნობენ თითოეულ მოსწავლეს,

განსაზღვრულიათ მათი საჭიროებები სასწავლო თუ სოციალური და არსებული პრობლემების გადასაჭრელად აქტიურად ტანამშრომლობენ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა, კერძოდ, სკოლის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს მომხსენებლად ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა კონფერენციაში, სადაც ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ თავიანთი ნაშრომები წარადგინეს. მასწავლებლების ნაწილმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ კონფერენციაში, რომელშიც მასწავლებლებმა წარადგინეს საკუთარი ნაშრომები. მასწავლებლები გაწევრიანებული არიან სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებში, სკოლას აქვს სოციალურ ქსელში გვერდი, სადაც აზიარებენ ჩატარებულ აქტივობებისა და სკოლის წარმატებებს. გარდა ამისა, Teams -ის პლატფორმაზე შექმნილია მასწავლებელთა ჯგუფები. სკოლის მასწავლებელთა წახალისების პროცედურები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლის დირექციას აქვს სიგელის გადაცემის, მადლობის გამოცხადების გამოცდილება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- ვაკანისიის დოკუმენტები;
- კათედრის ოქმი თავმჯდომარის არჩევაზე;
- კონფერენციაზე მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;
- უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

   სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N2-115, 25/09/2023), რომლის წევრებიც ეხმარებიან კოლეგებს საჭიროების დადგენაში, წინსვლასა და განვითარებაში.

მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე. ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას ტრენინგებისა და კონფერენციების შესახებ. მონაწილეობენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებში (უფროსი მასწავლებლებისათვის სავალდებულო 20 სთ. წამყვანი მასწავლებლისათვის12სთ.). დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ესწრებიან სხვადასხვა ორგანიზაციბის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა და კონფერენციებში. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ გარდა პედაგოგებისა, სკოლა ზრუნავს ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებაზე. სკოლის დირექცია ატარებს გამოკითხვას საჭიროებების დადგენის მიზნით. საქმისმწარმოებლი და ბიბლიოთეკარი ესწრებოდა ტრენინგებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
   დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ კეთდება თვითშეფასება, რის საფუძველზეც თითოეული მათგანი ადგენს განვითარების გეგმას. ასევე სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის გაკვეთილებზე დასწრების განრიგი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
   სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობას. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ. უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, საპილოტე პროგრამების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს, მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, რაც უმარტივებს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვთ სკოლის დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს. ხდება მათი წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაშე (პედსაბჭო, მოსწავლეების, მშობლების).
სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილია თანამშრომელთა ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების რეალიზებაში. ამისათვის სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N2-115, 25/09/2023);
- 2023-2024 სასწავლო წლის გაკვეთილებზე დასწრების განრიგი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძანება N2-91, 05/09/2023).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 05 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანება N2-92-ით. წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. სკოლის შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“

დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. გამოვლენილ მიგნებებს განიხილავს პედაგოგიური საბჭო. განავითარე - მონიტორინგის ჯგუფის ინფორმაციის საფუძველზე სკოლის დირექცია განსაზღვრავს გაუმჯობესების გზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი ძალისხმევით ხდება სკოლის მმართველობითი საქმიანობის წარმართვა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება სკოლის შინაგანაწესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და

საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი.

სკოლის შინაგანაწესში არის მუხლი 22. განცხადების განხილვისა და გასაჩივრების წესი. რომელიც გულისხმობს სკოლაში შესული განაცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის პოლიტიკა, ბრძანება N2-95, 05/09/2023.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ბრძანება N2-92, 05/09/2023.
- შინაგანაწესი, ბრძანება N2-102, 07/09/2023;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის პოლიტიკა, ბრძანება N2-95, 05/09/2023.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. თითოეულ კლასს შექმნილი აქვს შიდა ჯგუფი, სადაც გაერთიანებული არიან აღნიშნული კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექციის წევრები, რის საშუალებითაც კლასთან და სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება ხდება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ საკუთარი შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, აანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.

მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(მუხლი 3. პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები

და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). ისგ ჯგუფებში, ჩართულები არიან მშობლები. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელია გაერთიანებული, მრჩეველთა საბჭოში- დირექტორის მოადგილე, მანდატური, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის განხორციელებული აქტივობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
   სკოლაში საშტატო განრიგის მიხედვით დასაქმებულია ექიმი, ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით.
   სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებას.
   სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა. ძველი მიწერილობის ვადები განსაზღვრული იყო 2022 წლით.
   სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა (N5004669922 15/07/2022), რომელშიც აღნიშნულია, რომ **„შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან, შენობა არ საჭიროებს გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას. ვინაიდან სკოლის შენობის ორივე ნაკვეთურში პერიოდულად ცვივა ამსტრონგის ფილები, აღნიშნული წარმოადგენს საფრთხეს, როგრც მოსწავლეებისათვის ასევე სკოლის თანამშრომლებისათვის“.**

   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება და დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, რომლის შესრუკლებასაც გეგმავს მიმდინარე წლის ნოემბერში.

   **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

   **რეკომენდაცია:**

**სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.**
**სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში მოპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.**

**რჩევა:**
***სკოლამ უზრუნველყოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულება (ამსტრონგის ფილებთან დაკავშირებით).***

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს მანდატური.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია. აღნიშნულის თანახმად, მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგიის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთანავე,

სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: 5 სპეციალური მასწავლებელი, პირადი ასისტენტი და ა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. მანდატური, რომლებიც ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლაში მუდმივად მორიგეობს სკოლის პერსონალი, რათა უცხო პირთა გადაადგილება გაკონტროლდეს, რაც ქმნის სკოლის უსაფრთხო.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სკოლის დამლაგებლებს დავალებული აქვთ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება, ისინი დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენენ და ასუფთავებენ სასკოლო სივრცეს. სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია და სკოლის მედპერსონალი. სკოლაში გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი.

სკოლა თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან, თანამშრომლობის შედეგად სკოლას ემსახურება მეეზოვე, ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავეს, ათავისუფლებენ ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან ქვეწარმავლების გავრცელების პრევენციის მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტები, რომელიც შეიცავს პერსონალური მონაცემებს ინახება დაცულ ადგილას და მასზე ხელი მიუწვდება მხოლოდ საქმისმწარმოებელს. მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით მშობლებისგან მოპოვებული აქვთ თანხმობა მათი შვილების სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნების შესახებ. მშობელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია აღნიშნული საკიტხი. მოსწავლეთა პირადი საქმეები მობილობის შემთხვევაში სკოლიდან იგზავნება საფოსტო გზავნილით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

   სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლა თანამშრომლოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც სკოლას ემსახურება ცენტრის აიტის სპეციალისტი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის ინტერნეტ ქსელის ადმინისტრირებას. უზრუნველყოფს სკოლის კომპიუტერულ ბაზაში იმგვარი ანტივირუსების ჩაწერას, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვა. კომპიუტერულ ბაზაში ინახება  სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისად, მის დაცვას უზრუნველყოფს სწორედ შიდა ქსელის გამართულად ფუნქციონირება. სკოლის მრჩეველთა საბჭოსა და დირექციის მიერ ტარდება აქტიური კამპანია სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებისათვის კიბერბულინგის, ინტერნეტ საფრთხეების შესახებ, რათა მაქსიმალურად დაცულნი იყვნენ სკოლაში არსებული ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებისგან.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

   სკოლა პერიოდულად აწარმოებს ადამიანებისა და პროცესების უსფრთხოებას მონიტორინგს. სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია დატუმბული ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრების გამოყენების წესი. სკოლის მრჩეველთა საბჭო, განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე, რაც ასახულია მრჩეველტა საბჭოს სხდომის ოქმებში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ვიდეოსათვალთვალო კამერები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება, ოქმები;

- სანიტარული კვანძის დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- საევაკუაციო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 52 971 კვ.მ ფართი მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია 6 შენობა. N1, N2, N4 შენობა გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის. ტარდება გაკვეთილები, შემეცნებიტი ღონისძიებები, სპორტული აქტივობები. შენობა N1 ნაწილობრივ ორსართულიანი, ნაწილობრივ კი ერთსართულიანია. დანარცენი ყველა შენობა ერთსართულიანია. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიითა და რესურსებით (კერძოდ, მერხები, დაფები, კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები, მულტიფუნქციური პრინტერები). სკოლას აქვს-20 საკლასო ოთახი, 3 გარე სპორტული მოედანი(1 თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მულტიფუნქციური, 1 ფეხბურთის, 1კალათბურთის), ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტიკომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
   სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია სასკოლო სივრცეების გამოყენების წესები (ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული სივრცეები, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა). სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
   სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. ყველა მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო შშმ პირთათვის. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის სათანადო პანდუსი. სკოლის ეზოში არის საშუალება სხვადასხვა აქტივობების (გაკვეთილების, სპექტაკლის, შეხვედრების, სპორტული ტამაშები, შეხვედრები) ჩატარების ისე, რომ ყველა კლასმა ერთობლივად რომ ჩაატაროს სხვადსხვა აქტივობა ერთმანეთს არ შეუშლიან ხელს სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
   სკოლის სივრცეები(ფოიე, ბიბლიოთეკა, ეზო, სტადიონი) გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონკურსებისა და ვიქტორინებისათვის. სასკოლო სივრცეში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შეხვედრები, კინოჩვენებები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სპორტული მოედანზე ხშირად ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობა. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელი მოსწავლეებს შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მუშაობა, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფებში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც არსებული წიგნადი ფონდი წარმოადგენს სკოლის საკუთრებას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლიარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს

საინვენტარო ნომერი. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განვითარებისათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ციფრული განვითარების გეგმა
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
   სკოლა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. სკოლის ბალანსზე ირიცხება 23 პერსონალური კომპიუტერი, 42 ლეპტოპი (24 ვარგისი), 8 პროექტორი (6 ვარგისი). სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელსაც სასწავლო მიზნებისათვის იყენებენ მოსწავლეები და მასწავლებლები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ საშუალება კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენეონ დავალებებისა და პროექტებზე მუშაობისათვის.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაცია;

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
   სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც. ბრძანებებს რიგითობის მიხედვით ენიჭება ინდივიდულური ნომერი.
   საქმისწარმოების წესში არის ჩანაწერი „დოკუმენტების გაფორმება ხდება დადგენილი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად“, თუმცა არ არის გაწერილი ტექნიკური მოთხოვნები. მაგალითად სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედაგოგიური საბჭოს ოქმებს ნუმერაცია ენიჭება არა კალენდარული წლიდან, არამედ სასწავლო წლის დასაწყისიდან.
   სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა ცვლილებების შეტანა საქმისწარმოების წესში 2023 წლის ნოემბერი.

   **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
   **რეკომენდაცია:**
   **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეიტანოს შესაბამისი კორექტივები საქმისწარმოების წესში.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

   სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. მოქმედებს eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, მოხსენებითი ბარათების ატვირთვა. იტვირთება ბრძანებები, რომელიც სკოლაში გამოიცემა. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განტავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

   სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე, წარმოდგენილია სკოლის კარიერული წინსვლისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ინფორმაცია. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

   სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. შემოსული განცხადებები თუ წერილი სკოლის დირექტორის მიერ ეწერება შესაბამის უფლებამოსილ პირს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც განესაზღვრება ინფორმაციის დირექტორისათვის წარდგენის ვადა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის Eschool-ის ბაზა;
- სკოლის eFlow ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელის გვერდზე ასხულია სასკოლო ცხოვრების მიმდინარე სიახლეები და აქტივობები; სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან კომუნიკაციის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძანება N2-109, 15/09/2923). სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტაცია.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

   სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში სკოლაზე განცხადებით, ინფორმაციის გამოთხოვების შესახებ. იწყება ინფორმაციის მოძიების პროცესი, რაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

   სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის მომავალ საქმიანობაში. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობლებთან მუდმივად ხორციელდება კომუნიკაცია, როგორც სკოლის ინიციატივის საფუძველზე ასევე მშობლის სურვილის შემთხვევაში.

   საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებისათვის და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-უთი, მართვის საინფორმაციო სისტემის საშუალებით შემოსულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
   სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე;
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია;
   სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სკოლის შინაგანაწესი, საკონტაქტო ინფორმაცია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ვერიფიკაციის მექანიზმი, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვა.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ-გვერდი
  https://skolebi.emis.ge/schools/1178?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9A%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%961%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
- eFlow
- Eschool

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
   სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს 2022 წლის დეკემბრის N4 ოქმში წარმოდგენილია 2022 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2023 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია გვყავს შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული

მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა. სკოლაში დამტკიცებული აქვს 2023 წლის ბიუჯეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4), რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4.
- ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების გეგმა;
- 2023 წლის ბიუჯეტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
   სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე სკოლის საგაგნებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა. ასევე მრჩეველთა საბჭოს წევრები სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ აწარმოებენ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას შემდეგ საკითხებზე:

ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინაამღდეგ; დისკრიმინაციის წინაამღდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინაამღდეგ; ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. აწყობენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს შემდეგ საკითხებზე: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში; შვილებთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; მშობლის ჩართულობის ამაღლება მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში, პირველ სართულზე, საინფორმაციო დაფაზე, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მშობელთა კრებებზე ხდება შინაგანაწესის გაცნობა, მშობელთან და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია შინაგანაწესის გაცნობის აუცილებლობა, რაც ხელისმოწერით დასტურდება. სკოლის საიტზე გამოქვეყნებულია აღნიშნული დოკუმენტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს და დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება შინაგანაწესის გაცნობის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი წინასწარ აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა სკოლის დირექციის ჩართვის. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და

მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; მოსწავლის პარალელური კლასიდან სხვა პარალელურ კლასში გადასვლა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე. წარმოდგენილი დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

   სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით ,,5''-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. ორივე შემთხვევაში საგამოცდო კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. გამოცდების შედეგები ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმით და გამოცდის შედეგები მტკიცდება დირექტორის მიერ, ბრძანებით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

   სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მკაფიოდ გაწერილი გეგმსა და შესაბამისი მიზნების მიხედვით სკოლაში ახორციელებს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით სხვადასხვა აქტივობებს. თვითმმართველობის ინიციატივით და ხელშეწყობით სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის პარტნიორია USAID. სამოაქალაქო განათლების კლუბი აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოება „კახეთის ხმათან“ და ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. USAID და საზოგადოებრივი კახეთის ხმის თანამონაწილეობით სკოლა ჩართულია ახალი სამოქალაქო განათლების პროგრამაში, როგორც პარტნიორი. პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა სკოლის თვითმმართველობის ურთიერთთანამშრომლობას, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: ინტელექტუალური თამაში, სხვადასხვა სპორტულ სახეობებში ტურნირი. USAID და საზოგადოება „ბილიკის“ მცირე გრანტის პროექტის ფარმლებში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ ვიზიტით გურჯანის ტექნოპარკში. USAID და PH International მიერდაფინანსებულ და განხორციელებულ პროექტში სკოლის თვითმმართველობამ მოიპოვა მცირე გრანტი.

   მოსწავლეებს მე-5 კლასიდან უფლება აქვთ აირჩიონ მეორე უცხოური ენა (რუსული, გერმანული),

   სკოლა აწვდის სიახლეების შსახებ ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას საერთო ინტერნეტ-ჩატის ან საინფორმაციო დაფის შაშულაებით. ასევე, კლასის დამრიგებელი ვალდებულია მშობელთა კრებაზემიაწოდოს ინფორმაცია მშობლებს, როგორც ექსტერნის წესით საგნის გამოცდის დაძლევაზე, ასევე სემესტრული ნიშნის გაუმჯობესების შესახებ. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნონ არსებულ შეთავაზებებს. ასევე სასწავლო წლის დასასრულს ხდება მეხუთე კლასში გადამსვლელი მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა მეორე ენის არჩევის შესახებ.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

   სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 ს. წ.;
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- ბრძანებები საშემოდგომო გამოცდის შედეგებისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
   კოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები (ბრძანება N2-93; 05/09/2023). არსებული წესის გამოყენება გათვალისწინებულია პირველ კლასში  და მობილობით ჩარიცხული მოსწავლეების ხელშეწყობისათვის და იმ მოსწავლეების, ვისაც შეიძლება შეექმნას სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. აღნიშნული წესი მოიცავს შემდეგ მუხლებს: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპი და მნიშვნელოვანი ფაქტორები; დეზადაპტაციის ნიშნები; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები; წარმატებული ადაპტაციის ნიშნები; რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას; წესის გაცნობა.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
   სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. პოტენციური პირველკლასელთათვის ეწყობა ღია კარის დღე სასწავლო წლის დაწყებამდე გაზაფხულზე, შემდეგ საშუალება ეძლევათ სკოლის დათვალიერების.
   ყველა კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად აქტივობების დაგეგმვასა და

განხორციელებაში. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების სხვადსხვა პროექტის ფარგლებში შესაბამისი რესურსის გამოყოფას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

   მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აძლევს ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, შუალედურ სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას სოლო ტაქსონომიის გამოყენებით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

   საქმის მწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

   სასწავლო წლის დასაწყისში მიეწოდებათ ინფორმაცია გამოცდების შესახებ, რა შემთხვევაში შეიძლება მოუწიოს მოსწავლეს ექსტერნის ფორმით კლასის დაძლევა, რა შემთხვევაში შეუძლიათ სემესტრული გამოცდის მოთხოვნა და რა ვადებში. ეს ინფორმაცია მიეწოდება მოსწავლეებს დამრიგებლის მიერ და მშობლებს მშობელთა კრებებზე სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის დროს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
   სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
   მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები. მოსწავლეთა თვითმმართველობა ატარებს გამოკითხვებს სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და უზიარებს სკოლის დირექციასა, სამეურვეო საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს.
   აღნიშნულიდან გამომდინარე ფასდება წარმოდგენილი უკუკავშირი, ისახება გაუმჯობესების გზები, რათა გათვალისწინებული იქნას სასწავლო პროცესში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები(ბრძანება N2-93; 05/09/2023);
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეების ინიცირებული პროექტები;

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
   სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან პროფესიულ კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან, (გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან, ევროპის უნივერსიტეტი, კოლეჯი მოდუსი). აწყობს მათთან ერთად გასვლით ღონისძიებებს, სადაც კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ ხდება ინფორმაციის მოსწავლეებისათვის მიწოდება. სადამრიგებლები პროგრამებში სადამრიგებლო საათის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სხადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები.
   პროფორიენტაციის მიზნით სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს გასვლითი ღონისძიებებს პროფესიულ კოლეჯებში. ამ ღონისძიებების მიზანი იყო მოზარდისათვის დახმარების გაწევა, საკუთარი საჭიროებების შეფასება, თვითშეფასების უნარ-ჩვევის განვითარების ხელშეწყობა. პროფესიული პროგრამების უკეთესად გაცნობის მიზნით მოსწავლეები შეხვდნენ სხვადახვა პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლებს. სკოლაში ფუნქციონირებს ინოვატორთა კლუბი, რომლის მთავარო მიზანია, რომ მოსწავლეებს გაუღვიოს ინტერესი მეწრმეობის მიმართულებთ, მისცეს მათ უნარები, რომლებიც გამოადგებათ შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში. კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებისთ სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ინფორმაცია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ცნობილია კლასის დამრიგებლებისათვის, რომლებიც ამ ინფორმაციას უზიარებენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ სხვადასხვა ვებინარებზე და ტრენინგებზე რეგისტრაციაში.
   **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში IX და XII კლასების დამრიგებლები მოსწავლეებთან და მშობლებთან მართავენ შეხვედრებს, რომელზეც აწვდიან ინფორმაციას პროფესიული სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. სკოლა ცდილობს, რომ მოსწავლეების ინტერესები მრავალი მიმართულებით წარმართოს. სკოლის დირექცია მოსწავლეებთან ხშირად იწვევს სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს, ცნობილ სპორტსმენებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების ისტორიის მოსმენა მოსწავლეებისათვის დამატებითი ორიენტირია, რომ მომავალი განვითარების გზა ყურადღებით შეარჩიონ. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ინფორმაცია სკოლის საინფორმაციო მენეჯერის მიერ ზიარდება საერთო ინტერნეტ-ჩატში. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა საწავლებლების მიერ გამოცხადებული ღია კარის დღეების შესახებ. ეხმარებიან მათ ინფორმაციის მოძიებაში პროფესიების შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს ყოველწლიურად ჩაატაროს კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რითაც დაადგენს კურსდამთავრებულების კმაყოფილებას სკოლაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შესახებ. დღემდე ინფორმაციის მოპოვება კურსდამათვრებულთა კმაყოფილებისა და წარმატების შესახებ ხდებოდა კლასის დამრიგებლის მიერ, რომელიც დირექციას აწვდიდა ინფორმაციას, რამდენი გახდა სტუდენტი, რა მიმართულება აირჩიეს და პირადი საუბრებით დგინდებოდა სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შესაბამისად ექსპერტთა მოსაზრებით სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამა;
- შეხვედრების ამსახველი მასალები.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
   2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. თითოეულ ნაწილში განმარტებულია თუ რა მოიაზრება მათ ქვეშ, რა არის გასაკეთებელი თითოეული მიმართულებით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში დასაქმებულია 5 სპეცმასწავლებელი, რომელთა მუშაობა ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქტიურად იყოს ჩართული სკოლის ინკლუზიური გარემოს შექმნაში. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში. ესწრებიან მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, ეცნობიან ბავშვების მიღწევებს, ნამუშევრებს. ასევე ითვალისწინებენ საგნის მასწავლებლების, დამრიგებლის და სპეცმასწავლებლის რეკომენდაციებს. მულტიდისციპლინული გუნდის დასკვნის საფუზველზე და მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და რომლითაც

ხელმძღვანელობენ წლის განმავლობაში. საგნის პედაგოგები იღებენ რეკომენდაციებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დირექციისგან. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმებს, რომლებსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლაში ამ ეტაპზე არის 21 სსსმ მოსწავლე, რომელთა განვითარების მხარდაჭერაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- 2023-2024 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ისგ-ს ჯგუფის შექმნის ბრძანებები;
- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 ს.წ.

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   სკოლა მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს (სახლიდან სკოლამდე მანძილი აღემატება 3კმ-ს) სთავაზობს ტრანსპორტირებას. აღნიშნული სერვისები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში. მარეგულირებელი მხარე უზრუნველყობს მანქანის ტექნიკურად გამართულობას, აფორმებს ხელშეკრულებას მძღოლთან. ტრანსპორტირების განხორციელებას სკოლაში უზრუნველყოფს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი. ამ პროცესებს ადასტურებს შევსებული ტაბელები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
   სკოლა ამ ეტაპზე დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლის დირექციას გააზრებული აქვს რომ ნებისმიერი საქმიანობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მომსახურების უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023-2024სასწ.წ.(პროექტი);
- იჯარის ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## *ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი საფეხური) | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და ახორციელებს დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საგნობრივი კათედრების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმების შემუშავების და განვითარების პროცესში , ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და გამოცდილებას, შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის კლასების სუსტ და ძლიერ მხარეებზე. დაწყებით საფეხურზე იმართება შეხვედრები მშობლებთან კურიკულუმის შემუშავებისას მათი შეხედულებების, პრიორიტეტების და ინტერესების გამოკვეთა/გაზიარებისთვის. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სკოლაში შექმნილია ჯგუფი ,რომელიც განიხილავს ფაქტორებს, რომლებიც უწყობდა/უშლიდა ხელს მშობელთა კუმუნიკაციის პროცესს.**ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოხოვნებს**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ მშბლებთან ურთირთთანამშრობლობით და მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მიმდინარე საწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით ჩაერთვებიან სასკოლო კურიკულუმის განხორციელების პროცესში. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შექმნილია ჯგუფი ,რომელის შეიმუშავებს კითხვარს კურიკულუმის ძლიერი და

სუსტი მხარეების გამოსავლენად, რასაც გაიზიარებენ საგნის მასწავლებლებიც. პედაგოგები მეტად გამოიყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მოსწავლის შესაძლებლობებზე და უნარებზე მორგებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოხოვნებს**

**ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სსიპ -მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ. შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო კათედრების ყველა წევრმა. აღნიშნული დადასტურდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელმა პედაგოგებმა გადაინაწილეს სამუშაო, კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე.მშობლებს წლის დასაწყისში აცნობენ საგნობრივ კურიკულუმს და კომპლექსური დავალებების თემატიკას, ასევე აქვთ მშობლებთან სისტემატიური ონლაინ და სატელეფონო კომუნიკაცია დავალებების შესრულების ინსტრუქციების უკეთესად გაგების მოსწავლეთა შედეგების გაზიარების მიზნით; პარალელური კლასის პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების განაწილებაზე. კომპლექსური დავალების შემუშავებისას გათვალისწინებულია ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი მოსწავლეთა საჭიროებები და წინარე ცოდნა. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების და კათედრის მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო“, უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები, წარმოდგენილი შემაჯამებლების ანალიზები, მოსწავლეთა მიერ შესავსები შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ტესტები დიაგნოსტიკური შეფასებებისთვის, ისგ-ები ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შემუშავებულია საგნობრივ კათედრაზე, შედეგი მიეწოდება ადმინისტრაციას,კომპლექსური დავალებების ბარათები მუშავდება მშობლებისათვის გასაგზავნად.არსებული კურიკულუმების ჩარჩოები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად ყველა ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება,კომპლექსური დავალებების პირობები და სადამრიგებლო პროგრამები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერსებული პირისათვის. ასევე მშობლების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ ხდება სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრებების მეშვეობით.სკოლას აქვს ვებ გვერდი , სოციალური ქსელის გვერდი რომლის საშუალებითაც სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია მიწოდებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სასკოლო სასწვლო გეგმა. საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და მტკიცებულებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები, სასწავლო და სოციალური პროექტები. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. აღსანიშნავია , რომ სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს,რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს მასწავლებლებმაც ისაუბრეს იმის შესახებ, რომ რეგულარულად განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმის დახვეწისა და განვითარების შესახებ, მშობლებთან და მოსწავლეებთან აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, ჩაატარეს გამოკითხვა მოსწავლეთა ინტერესების განსასაზღვრად, რათა განესაზღვრათ შესაბამისი სასწავლო მასალა. **ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინტერესთა კვლევის დოკუმენტი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები . წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება . შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს მთელი წლის მანძილზე , აანალიზებენ საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების პირობაში ყოველთვის ითვალისწინებენ სხვადასხვა მზაობის მოსწავლეების შესაძლებლობებს, აძლევენ მათ საშუალებას რომ შესაქმნელი პროდუქტი სხვადასხვა საშუალებით წარმოადგინონ.კურიკულუმებში წარმოდგენიალია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. თემები და დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. იკვეთება პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა სასწავლო შინაარსთან ერთად მოსწავლეთა ინტერესის, შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინების კუთხით. მასწავლებლების დამოკიდებულებები ყოველთვის არის პოზიტიური და ცდილობენ წაახალისონ მოსწავლეთა ნებისმიერი, თუნდაც მცირე აქტივობა, მისცენ მათ სტიმული და გავუღვიონ ინტერესი მომავალი სამუშაოსადმი. მაგალითად, ქართულ ენასა და ლირტერატურაში ცნებების დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები ფაქტობრივად ყველა თემის ფარგლებში, ხოლო პირველ ოთხწლედის კურიკულუმი ძირითადად თემების, კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სახითაა მოწოდებული, თუმცა კათედრას ამ კლასებშიც აქვს გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. ჩანს, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა

ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მასწავლებლები ითვალისიეინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა აჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილო პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ( კურიკულუმის ჩარჩოები, სკოლის თვითშეფასების ფორმა, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია) და მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესშიც ისაუბრეს კურიკულუმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებზე, აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და მოსწავლეების შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ შემდგომ სასწავლო პროცესს, კათედრებისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სამომავლოდ კიდევ მეტად განავითარონ კურიკულუმები.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმში არსებულ გასაუმჯობესებელ მხარეებზე, მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესზე დაკვირვების გაანალიზებით მოხდეს კურიკულუმების დახვეწა და განავითარება სკოლას მიეცა რჩევა, რომ დაწყებითი საფეხურის ქართული ენის კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**რჩევა:**

**დაწყებითი საფეხურის ქართული ენის კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით.**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას. თითოეული საგნის ფარგლებში მასწავლებლებმა აღწერეს ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალება და ისაუბრეს იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდნენ

საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული ყველა კომპლექსური დავალება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თავისი უნარების და შესაძლებლობების ფარგლებში, შემოქმედებიდათ შექმნას და წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაო; მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარმოდგენისათვის უვითარდებათ კომუნიკაციის უნარები, ასევე ითანამშრომლოს კლასელებთან, თანაგუნდელებთან, მეწყვილესთან. კომპლექსური დავალების პირობა და მასწავლებლის დეტალური ინსტრუქციები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დავალებაზე მუშაობის დროს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების გზით ცნობიერებაში დაიმკვიდროს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომელთაც სთავაზობს მასწავლებელი კომპლექსური დავალებით. მაგალითად , უცხო ენაში მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებს (მაგ.საბუნებისეტყველო კათედრასთან ერთად) და წარმოდგენილი აქვთ დამადასტურებელი ვიზუალური მასალა . კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე შემავალი საგნების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) კურიკულუმებში იკვეთება შემდეგი სახის ხარვეზები:

ზოგიერთ სავალდებულო თემაში არ არის განსაზღვრული არცერთი კომპლექსური დავალების იდეა, შესაბამისად არც კონტექსტ - მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის - ველებია შევსებული. რამდენიმე შემთხვევაში შეტანილია მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის ჩასამატებელია. რიგ შემთხვევებში არ არის შევსებული „გამოყენებული რესურსები“-ს ველი.

ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ: კურიკულუმის ჩარჩოში არ არის სვეტი ,,მაგალითი შედარებისთვის'' , სადაც უნდა მიეთითოს დავალლების ნიმუში. ზოგიერთ სავალდებულო თემაში არ არის მითითებული დავალების იდა. კურიკულუმის ჩარჩოებში მიმართულება და სამიზნე ცნება არასწორადაა განსაზღვრული. მასწავლებელს მიეცა რჩევა ზემოთ აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით..

**ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**რჩევა:**

თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით უნდა შეივსოს კურიკულუმის შვიდივე სვეტი (თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებთ კომპლექსურ დავალებებს ივსება შემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, გამოყენებული რესურსები.

თითოეული თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს საგნის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება შესაბამის ქვეცნებებთან ერთად.

კურიკულუმის ჩარჩოში ჩაამატონ ერთი სვეტი ,,მაგალითი შედარებისთვის'', სადაც უნდა მიუთითონ დავალების ნიმუში. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩასწორდეს მიმართულებები და სამიზნე ცნებები.

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფები მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით(სასკოლო სასწავლო გეგმა). ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში (V კლასი), სადაც აღწერილია მოსწავლის ძლიერი მხარეები , საჭიროებები, გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები. ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ კომპლექსური დავალებების ადაფტირება და დიფერენცირება ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, ასევე დასტურდება დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში, კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (მაგ.პოსტერი, პრეზენტაცია, დიორამა, მაკეტი). მასწავლებლები, ინტერვიუშიც ადასტურებენ, რომ მოსწავლეს აქვს არჩევანის უფლება, მაგ. კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით, საშუალებით.ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომლებშიც შეტანილი აქვთ მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებებიც, ვიზიტის დასრულებამდე სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია აქტივობები დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით. -პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა , რომ საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებს . მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებული აქვთ რამდენიმე არჩევანი, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ დავალებები მათთვის მოსახერხებელი ფორმატით. შეიმუშავებენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს, მაგალითად, მოსწავლემ დახატოს ,ან დახატული გააფერადოს. რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებზე. სკოლაში აქტიურად იყენებენ რემედეაციას, საჭიროების შემთხვევაში

გაკვეთილების შემდგომ დამატებით ამეცადინებენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც შეამჩნევენ რომ რომელიმე საკითხი გაუჭირდა ან რაიმე მიზეზით პროგრამა ვერ დაძლია.

მასწავლებლებმა როგორც გასაუბრების დროს აღნიშნეს ხშირად იყენებენ „როლურ თამაშებს“ სადაც სსსმ მოსწავლეს სთავაზობენ მისი უნარების შესაბამისი როლის შესრულებას ისე, რომ ეს არ იყოს განსაკუთრებულად აქცენტირებული და თვალშისაცემი დანარჩენი მოსწავლეებისთვის. სამომავლოდ გეგმავენ თითოეულ მოსწავლეზე მორგებული კურიკულუმის შემუშავებას, არსებული პრაქტიკის მეტად გაღრმავებას „კომპლექსურიდან კომპექსურამდე“ სწავლა სწავლების პრინციპის დანერგვით და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. სკოლას აქვს ხედვა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 2.1.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

- დაწყებით საფეხურზე ,სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. კერძოდ, განმსაზღვრელ შეფასებას იყენებს მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში . განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებლები იყენებენ პოზიტიურ სიტყვიერ შეფასებას, რათა მოსწავლეებს საფეხურზე განუმტკიცონ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. შეფასების დროს წინა პლანზე აყენებენ მოსწავალის საუკეთესო მიღწევებს, ფრთხილად მივუთითებენ ნაკლოვანებაზე და სახავენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. მოსწავლეებს ასევე აძლევენ ზეპირი თვითშეფასების საშუალებას, ასევე აფასებენ ერთმანეთს. მასწავლებლებს აქვთ შექმნილი შეფასების სქემები, რომლებსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. სკოლამ გადაწყვიტა ,რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკები. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ აღნიშნული რუბრიკები ქართულ ენაში ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს.

მათემატიკის მასწავლებლებს მიეცა რჩევა წარმოადგინეს ყველა კლასისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების თითო ნიმუში ,სასურველია მათ შექმნან მსგავსი სქემები ყველა კლასისთვის.

-ინტერვიუდან იკვეთება, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და ცდილობენ უკუკავშირი ამათზე დაფუძნებით განახორციელონ. მასწავლებლების მხრიდან, განმავითარებელი შეფასება მოიაზრება, როგორც მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი საშუალება, რათა შეძლონ დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად.

გამოყენებულია თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, კომპლექსურ დავალებებს აფასებენ სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად , შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგემება, მიმდინარე სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოა მოსწავლეებისთვისაც, იმისათვის რომ მოსწავლეებისათვის შეფასება იყოს რელევანტური და ვალიდური მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე აცნობს მოსწავლეებს შესასრულებელი აქტივობის შესაბამის შეფასების რუბრიკებს და აძლევს მათ მოკლე განმარტებას თუ რომელ კომპონენტში როგორ შეფასდებიან. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს თითოეული მოსწავლის მიღწევას, გაკვეთილებზე ქცევას.

განმავითარებელი შეფასება თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა სასაკის შესაბამისად. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში. რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**რჩევა:**

**სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს.**

**მათემატიკის მასწავლებლებელმა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სასურველია შექმნან ყველა კლასისთვის.**

**ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

დაწყებით საფეხურზე სკოლა ეყრდნობა ჯიპრაიდის ტესტებს, რომლებსაც იყენებს დიაგნოსტირებისათვის, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუებში მათემატიკასა და ქართულში ატარებენ ხოლმე ასეთ ტესტირებებს და ამის საფუძველზე გეგმავენ შემდგომ პროცესებს. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას არჩეული აქვს დიაგნოსტირების ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში.

-დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას , ისინი ინიშნავენ იმ აქტივობებსა და მეთოდებს, რომლებმაც კარგად იმუშავა .სამუშაო შეხვედრებზე, მსჯელობენ, განიხილავენ

მოსწავლეთა .რომელმა კომპლექსურმა დავალებამ , რომელმა პროექტმა გამოიწვია მათი მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ? და შესაბამისად გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, კათედრების ანგარიშებს, მასწავლებელთა თვითშეფასებას, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. ინტერვიუზე, მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდება წინარე გამოცდილების გათვალისწინებაზე. შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. კერძოდ, გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. რეფლექსიითვის მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს საშუალებით. მაგალითად, კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, თვითრეფლექსიისთვის, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და სხვა. ყოველივე ამის საფუძველზე ხდება ხარვეზების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა, გამოცდილების გაზიარება. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავლშიც მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და მასწავლებელების თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდება კურიკულუმების გადამუშავება.

**ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

- დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების სქემები ;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები ;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი
- დიფერენცირებული გაკვეთილის გეგმა
- ინდ გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1.** სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

კურიკულუმით შეთავზებული კომპლექსური ტიპის დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას საკითხის შესახებ არსებული ცოდნიდან გადავიდეს განვითარების უახლოეს ზონაში. დავალებები, რომლებიც შერჩეულია კათედრების მიერ , ითვალისწინებს მოსწავლის ფუნქციურ-კომპლექსურ უნარებს, რომელშიც ჩანს აქტიური სწავლის იდეა. დავალების განხორციელების ეტაპებზე მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესიის მართვა. დავალების შესრულება ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან წარმოსახვის უნარის განვითარებას, შერჩეულია მისთვის ნაცნობი კონტექსტიდან, თუმცა მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს და ეხმარება დამოუკიდებელ აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში" - აღნიშნულია სკოლის თვითშეფასების კითხვარში და ამავე აზრს იზიარებენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სახელმწიფო ენის მიმართულებით, საგნობრივმა ჯგუფმა განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის მიზნობრივად

და შედეგიანად წარმართვისა.დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა . მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევანის მიხედვით დაამზადეს ყვევილების ორანჟერეა, მასში დარგეს ყვევილები . დავალების შესასრულებლად გამოიყენეს სხვადასხვა მასალები. ნაწილმა წარმოადგინა მაკეტი. მეორე ნაწილმა კი ფორმატზე შექმნა მოდელი. სხვადასხვა მასალის ან ფორმის გამოყენების არჩევანი მოსწავლეებს უადვილებთ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შექმნა. .წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან, კომპლექსურ საკითხებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, მოცემული დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ფუნქციონირებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები უფასო წრეების სახით (მაგ. ეკო კლუბი),რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას . ინტერვიუში, აღნიშნეს, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან არჩევანის უფლებით, რაც მათი მხრიდან შემოქმედებითობითი და კრიტიკული უნრების უკეთ გამოვლენის კარგი საშუალებაა. გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას

დაწყებითი კლასების მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კლუბებში და პროექტებში, მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშესაწყობად გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებას და მოსწავლეთა უფრო მეტ სასკოლო აქტივობებში ჩართვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე და ინტერვიუდან გამომდინარე ჩანს, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, არის კლუბები (ინოვატორთა კლუბი), სადაც მოსწავლები აქტიურ შემოქმედებით პროცესში არიან ჩართულნი. ასევე საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად. აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც კომპლექსური დავალებებით

სწავლების პრინციპების დანერგვა განიზრახეს სასწავლო პროცესებში, ვინაიდან თავად ამ ტიპის დავალებები გულისხმობს ცოდნის აგების პრინციპების გააქტიურებას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალების პირობები ყოველთვის გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მარტივიდან რთულისკენ სვლას, პრაქტიკული მაგალითებით ცოდნის გამყარებას და ა.შ. ყოველი გაკვეთილი იწყება გასული დავალების, გაკვეთილის გახსენებით, გამოწვევის ფაზაში მასწავლებლის მიერ ხდება ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეების მოტივირება და მხოლოდ შემდეგ ახალი მასალის მიწოდება, რაც სწავლის პროცესს ხდის ეფექტურს და საინტერესოს.

დაწყებითი საფუხურის კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. კომპლექსური დავალების პირობები ხშირად ისეა ფორმულირებული, რომ მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ინტერვიუში გააჟღერეს მზაობა მოსწავლეებს, თემებში შესთავაზონ აზრიანი, შინაარსიანი კონტექსტი, რაც მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. . კურიკულუმებში კომპლექსური დავალების კონტექსტები იმგვარადაა შერჩეული, რომ ახლოს დგას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მას უხდება პრობლემის გადაჭრა, ანალოგიების გაკეთება (დაუკავშიროს საკუთარ გარემოს) ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამთლიანება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად, რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრა სამომავლოდ გეგმავს არსებული პრაქტიკის გაძლიერებას.

**ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. მაგალითად , მათემატიკაში მოსწავლეები აწარმოებენ თვითშეფასების დღიურებს .

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას. საბოლოო პროდუქტის შექმნა მოითხოვს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარებს.ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასება- ზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი მუდმივად ახალისებს მოსწავლეების მხრიდან შესრულებული დავალებების ანალიზს, რაც ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური თვითცნობიერების განვითარებაში.

სწავლა-სწავლებისა და ცხოვრებისეულ სიტუაციაში მისი გამოყენების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს განსხვავებულ ხედვასა და პრობლემებს, ასევე მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური პროცესის, მართვა. ამ დროს მოსწავლეს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარი. სკოლის თვიშეფასების განაცხადშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ასევე პროდუქტიულია სხვადასხვა პროექტები და აქტივობები, რომელიც ხელს უწობს მოსწავლის სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციურ მართვას. სამომავლოდ იგეგმება არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერება. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე . მაგალითად, მათემატიკაშიდაგეგმილია კომპლექსური დავალება ,, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი 10 ქვეყანა და

ინტერნეტიზაცია ”განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.მაგალითად, ინგლისური ენის კურიკულუმში (მე-4 კლასი) დაგეგმილი კომპლექსური დავალება მიზნად ისახავს პოსტერის შექმნას თემაზე „ჩემი ოჯახი“. ამისათვის, მოსწავლემ უნდა გაიაზროს რა არის პოსტერი,დაფიქრდეს რისთვის ქმნის პოსტერს და შექმნას პროდუქტი მოთხოვნის შესაბამისად. ამისთვის მას დასჭირდება ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენება. ინტერვიუს პროცესში, გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის იგეგმება პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება

კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება მოსწავლეებში ხელს შეუწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა: თანამშრომლობის, ინფორმაციის მოძიებისა და დახარისხების, კვლევა-ძიებისა და საკუთარი ცოდნის რეალიზების უნარ-ჩვევები. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

-

**ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. „სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს. ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმით გათვალისწინებულ საკითხზე ,,ინტერვიუ ჩემს საყვარელ პერსონაჟთან “ ჩატარდა ექსპერიმენტი. მოსწავლეებმა, ინტერვიუს სრულყოფის გათვალისწინებით, მოაწყვეს პრეზენტაციები აღნიშნულ საკითხზე“ .

-დაწყებითი კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად,მათემატიკაში ,, ყვავილების დაგეგმარება'' ოთხი ერთნაირი პერიმეტრისა და განსხვავებული ფორმის საყვავილის გათავსება, ყვავილნარის გაშენება-1$მ^2$-ზე1 ყვავილი ;აღნიშნული დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი

კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას  აძლევს მოსწავლეებს.დაწყებითი საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლეს  საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშიებულად სწავლების საშუალებას აძლევს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს სხვა საგნებში ნასწავლი მასალის უცხო ენასთან ინტეგრირება (მაგ.ხელოვნება). ინტერვიუს პროცესში გააჟღერეს, რომ იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება რუსულ ენაში საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრების და ცოდნათა უთიერთდაკავშირების მიზნით.
კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ  პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების პროცესში უხდება  წინა მასალის ან სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ასევე ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილები საგნებს შორის და არაფორმალური აქტივობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,  რომ არსებული პრაქტიკა კვლავაც გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- თვითშეფასების კითხვარი
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- თემატური გეგმები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

- სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, მაგალითად, ქართულ ენაში მეოთხე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალების (ტ. ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას“ პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით) განხორციელება, რომელიც ააქტიურებს სამიზნე ცნება ტექსტს და მის ქვეცნებებს. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც ასევე დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსურ დავალებებში გაწერილი ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას.
წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ უცხო ენებში სასწავლო პროცესში ხდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვესაკითხები და საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. ინტერვიუში გააჟღერეს, რომ თემის ფარგლებში მასწავლებელი ისე არჩევს საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას, მასწავლებელთა ნამუშევრებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას,რომ სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის.
-სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია რა კონტექსტ-მაგალითის საფუძველზე და რომელი რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და ხელს შეუწყობს დაგეგმილი სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას.

**ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: დავალების კომპლექსური კონტესქტი მოსწავლეს უყალიბებს პირობისეულ ცოდნას და აძლევს ამ ცოდნის განზოგადების საშუალებას. ის სწავლობს მოცემულ საგნობრივ კონტექსტში მიღებული ცოდნა სად და როგორ გამოიყენოს. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის ასევე დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და პოზიტიურ განწყობას უყალიბებს მათ სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, კომპლექსური ბუნების დავალებებთან ერთად მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში ასევე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს პროექტულმა სწავლებამ, სადაც ყველაზე ეფექტურად ხდება ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ მდგრადი შედეგების მისაღწევად საჭიროა სწავლის პროცესის მუდმივი მოიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. **ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

-.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში კი როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი , ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და გეგმავენ შექმნან თემის შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.შეფასების კრიტერიუმები ცნობილია მოსწავლეებისათვის და გამოკრულია ყველა კლასში თვალსაჩინო ადგილას.

- მაგალითად: სადიაგნოსტიკო შეფასება, შემაჯამებლის შეფასების რუბრიკა, სოლო ტაქსონომია და სხვა. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. მასწავლებლები ქმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად, მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასა და წახალისებაზე

**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**-ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან იკვეთება, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. შეფასება ითვალისწინებს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გააჟღერეს, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ და უმარტავენ შეფასების რუბრიკებს,რაც გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ასევე,ღნიშნეს,რომ განმავითარებელი შეფასებები ხელმისაწვდომია მშობლებისთვის, რაც მათ უქმნის სამართლიანობის განცდას საკუთარი შვილის სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესში.

  შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეების შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები(რუბრიკები), რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია სწორედ საგნობრივი შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას. შეფასების რუბრიკები წლის დასაწყისში მუშავდება და მტკიცდება კათედრის სხდომაზე, შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების შესაბამისად და განიხილავენ მათთან ერთად. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდაარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომელის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების

ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან, ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტაციით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

**ინდიკატორი2.2.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

-სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. ეს არის მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათი შეფასებების შენახვის წესი , რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთანავე, სკოლა განსაზღვრავს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესსა და ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური.სკოლა ინახავს ამ დოკუმენტაციას 3 წლის ვადით. სკოლას აქვს მზაობა, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციაც შეინახოს 3 წლის ვადით. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სკოლაში შენახვას მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალის სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ერთი წლის ვადით. სკოლა გამოხატავს მზაობას, უზრუნველყოს მონაცემების შენახვა კანონით გათვალისწინებული პროცედურებისა და ვადის დაცვით. **ინდიკატორი . 2.2.2.6. . ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციისას**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;

- შეფასების სქემები;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში.სკოლაში არსებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, სისტემატურად ხდება გამოცდილების და რეკომენდაციების გაზიარება არა მხოლოდ პედაგოგებს შორის, არამედ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორისაც (მაგ. მშობელი). იგეგმება და ხორციელდება ინტეგრირებული აქტივობები, რაც კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე მიანიშნებს. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ხდება განვლილი სასწავლო წლის შედეგების შეჯამება სასკოლო საზოგადოების წინაშე, რაც პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენაა მიმართული. სკოლას აქვს მზაობა ამ კუთხით განავითაროს არსებული მიდგომები სამომავლოდ. **ინდიკატორი 2.2.3.1 შეესაბამება სტანტარდის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, რაც თანამშრომლობითი და უსაფრთო სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ გამოსავლენად სკოლა ახორციელებს არაფორმალურ აქტივობებს,სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სასკოლო კლუბების მუშაობა,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლას სათანადო დონეზე აქვს განვითარებული თანამშრომლობითი კულტურა. კერძოდ, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორციელების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, სააღმზრდელო საათი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), მასწავლებლები ურთიერთთნამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავენ უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. სასკოლო წარმატებების და არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმირებული არიან მშობლები, იმართება მშობელთა კრებები, იგეგემება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლის შედეგების გასაცნობად, ოთხშაბათობით გამოყოფილი აქვთ მშობელთა მიღების საათები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.3.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი იქმნება მთლიანი სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით. კერძოდ, მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო, დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო სივრცეში. სკოლაში ურთიერთობა დაფუძნებულია ნდობაზე, ურთიერთპატივისცემაზე, ტოლერანტულ და პოზიტიურ გარემოზე, რომელშიც განიხილება თანასწორობა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. განხორციელებული ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებას, პოზიტიური გარემოს შექმნას და კლასებს შორის თანამშრომლობას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ არსებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერდება სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 2.2.3.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის შექმნა , დანერგვა ცირკული პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში ხორციელდება დაკვირვება, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მიღწევებს, მიგნებებს. მსჯელობენ რომელმა აქტივობამ იმუშავა კლასში კარგად, რომელი გაუჭირდათ. კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგს ახდენს სკოლის დირექცია გაკვეთილებზე დასწრებით, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრებით, აკეთებენ ჩანაწერებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც ხდება მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვა ან მოდიფიცირება. სკოლას მონიტორინგის განხორცილების გარკვეული გამოცდილება აქვს. 2022-2023 სასწავლო წელს ჩატარდა კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი საჭირობების დადგენის მიზნით. თუმცა ეს ეს კვლევა არ არის საკმარისი ობიექტური სურათის შესაქმნელად და ამ მიმართულებით სკოლა ეტაპობრივად გააუმჯობესებს მეთოდოლოგიას. გარდა ამისა ხორციელდება ისგ ჯგუფის მონიტორინგი, მონიტორინგის ჯგუფი სკოლას და განათლების სამინისტროს ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. მასწავლებლები აანალიზებენ შემაჯამებელ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს/ საგნის მასწავლებლები განხორციელებული სამუშაოს ანგარიშს წარუდგენენს კათედრის წევრებს და მშობლებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს , არის ურთიერთდასწრება , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. დირექციის მიერ ჩატარდა კვლევა, რის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები, როგორიც არის მაგალითად კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, მოსწავლეთა ინტერესი და სხვა... ყველა საგნობრივ კათედრაზე შედგა გამოკითხვის შედეგების განხილვა დირექციის ჩართულობით. გამოიკვეთა არსებითი ხარვეზები და გაიმართა მსჯელობა, როგორ შეიძლება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. სკოლაში შეიქმნა ციფრული განვითარების გეგმა, დაიგეგმა საზიარო სივრცეების რაციონალური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას (სკოლის თვითშეფასების ფორმა). ინდიკატორი **2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. გარკვეული პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მუდმივი მონიტორინგი, პროცესებზე დაკვირვება და შეფასება მასწავლებლებს ეხმარება საინტერესო ინტერვენციების დაგეგმვაში. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კადრის სხდომის ოქმები
- კურიკულუმი
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესწავლით დგინდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუში, ტესტის ნიმუში განმსაზღვრელი შეფასებისათვის და სხვ. აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;~**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება მრავალი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყოველ საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საგანში განხორციელებული ინტეგრირებული პროექტების შესახებ. მაგ:. პროექტი კულტურულ მემკვიდრების შესახებ და სხვა. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს აგრეთვე, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია. აქედან გამოდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამ კრიტერიუმით სკოლა <u>აკმაყოფილებს</u> სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.3.2.2 შეესაბამება სტანდარტსი მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადსახვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების

რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

ისევე როგორც ინტერვიუს დროს, ისე წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ფიზიკურ მომზადებას, ასაკს, სქესს და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს შეფასების დროს. აუცილებელია წინარე გამოდილების გათვალისწინებაც. იმისათვის, რომ შეფასება იყოს ობიექტური აუცილებელია გავითვალისწინოთ ზემოთ ხსენებული ფაქტორები, რასაც იაზრებენ მასწავლებელები. **ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამება  სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება
  ☐ მეტწილად შეესაბამება
  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  ☐ არ შეესაბამება

**2.4  კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1  წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმების შემუშავება სკოლაში განხორციელების პროცესშია, კურიკულუმის შემუშავებასთან ერთად დაგეგმილია მისი განვითარებისა და სარეკომენდაციო პაკეტის მომზადებისთვის სხვადასხვა ქმედებები. სკოლა გეგმავს კურიკულუმის განვითარებისთვის, განხორციელების პროცესში შეაგროვოს მონაცემები სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგალითად, გეგმავს გამოკითხვასა და ინტერვიუებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, აგრეთვე, სკოლა გეგმავს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებისთვის გამოიყენოს მასწავლებელთა რეფლექსიები, კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზები, გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები და ამის საფუძველზე დაგეგმონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. აგრეთვე სკოლას მომზადებული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები სხვადასხვა საგნებში ყველა საფეხურზე, რათა ობიექტურად შეაფასოს მიმდინარე პროცესები სკოლაში და დროულად შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

**ინდიკატორი 2.4.1.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.** სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმი ეფუძნებოდეს მიმდინარე წლის კურიკულუმის ანალიზს, რათა სისტემური შეფასების და მონიტორინგის შედეგები ასახონ კურიკულუმში. ამისათვის სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის სისტემა, დოკუმენტში აღწერილი აქვს კურიკულუმის შეფასების პროცესები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას აქვს მცდელობა კურიკულუმი ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას, რაც წარმოდგენილი იყო მაგალითად - მათემატიკის მასწავლებლის პორტფოლიოში, სადაც ის აღწერს საკუთარ მუშაობის პროცესს - აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და საჭიროებიდან გამომდინარე შეაქვს ცვლილება თემატურ ერთეულში, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე წარმოდგენილი იყო გეოგრაფიის მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა - "გეოგრაფიის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა", რის საფუძველზეც მასწავლებელს შემუშავებული ჰქონდა რეკომენდაციები კოლეგებისთვის.

**ინდიკატორი 2.4.1.2.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებლის თვითშეფასების ფორმები;
- კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი რუბრიკა;
- კომპლექსური დავალების განმავითარებელი  რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით ;
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

შეფასება:

*გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და ახორციელებს საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კათედრის წევრები ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლები, თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმების შემუშავების და განვითარების პროცესში , ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და გამოცდილებას, შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის კლასების სუსტ და ძლიერ მხარეებზე. საბაზო საფეხურზე იმართება შეხვედრები მშობლებთან კურიკულუმის შემუშავებისას მათი შეხედულებების, პრიორიტეტების და ინტერესების გამოკვეთა/გაზიარებისთვის. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სკოლაში შექმნილია ჯგუფი ,რომელიც განიხილავს ფაქტორებს, რომლებიც უწყობდა/უშლიდა ხელს მშობელთა კუმუნიკაციის პროცესს.**ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოხოვნებს**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში ბიოლოგიის ,ქიმიის და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ მშბლებთან ურთირთთანამშრობლობით და მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მომავალ საწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით ჩაერთვებიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შექმნილია ჯგუფი ,რომელის შეიმუშავებს კითხვარს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, რასაც გაიზიარებენ საბუნებისმეტყველო კათედრის საგნის მასწავლებლებიც. პედაგოგები მეტად გამოიყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მოსწავლის შესაძლებლობებზე და უნარებზე მორგებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოხოვნებს**

**ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სსიპ -მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ. შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო კათედრების ყველა წევრმა. აღნიშნული დადასტურდა საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელმა პედაგოგებმა გადაინაწილეს სამუშაო, კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე.მშობლებს წლის დასაწყისში აცნობენ საგნობრივ კურიკულუმს და კომპლექსური დავალებების თემატიკას, ასევე აქვთ მშობლებთან სისტემატიური ონლაინ და სატელეფონო კომუნიკაცია დავალებების შესრულების ინსტრუქციების უკეთესად გაგების მოსწავლეთა შედეგების გაზიარების მიზნით; პარალელური კლასის პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების განაწილებაზე. კომპლექსური დავალების შემუშავებისას გათვალისწინებულია ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი მოსწავლეთა საჭიროებები და წინარე ცოდნა. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების და კათედრის მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო“, უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები, წარმოდგენილი შემაჯამებლების ანალიზები, მოსწავლეთა მიერ შესავსები შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ტესტები დიაგნოსტიკური შეფასებებისთვის, ისგ-ები ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შემუშავებულია საგნობრივ კათედრაზე, შედეგი მიეწოდება ადმინისტრაციას,კომპლექსური დავალებების ბარათები მუშავდება მშობლებისათვის გასაგზავნად.არსებული კურიკულუმების ჩარჩოები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად ყველა ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება,კომპლექსური დავალებების პირობები და სადამრიგებლო პროგრამები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერსებული პირისათვის. ასევე მშობლების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ ხდება სოციალური ქსელისა და

დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრებების მეშვეობით.სკოლას აქვს ვებ გვერდი , სოციალური ქსელის გვერდი რომლის საშუალებითაც სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია მიწოდებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლის ვებგვერდზე განთავსებუკლია სასკოლო სასწვლო გეგმა. საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და მტკიცებულებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები, სასწავლო და სოციალური პროექტები. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. აღსანიშნავია , რომ სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს,რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს მასწავლებლებმაც ისაუბრეს იმის შესახებ, რომ რეგულარულად განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმის დახვეწისა და განვითარების შესახებ, მშობლებთან და მოსწავლეებთან აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, ჩაატარეს გამოკითხვა მოსწავლეთა ინტერესების განსასაზღვრად, რათა განესაზღვრათ შესაბამისი სასწავლო მასალა. **ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინტერესთა კვლევის დოკუმენტი

  საბაზო საფეხურის კურიკულუმები

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები . წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება . შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს მთელი წლის მანძილზე , აანალიზებენ საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების პირობაში ყოველთვის ითვალისწინებენ სხვადასხვა მზაობის მოსწავლეების შესაძლებლობებს, აძლევენ მათ საშუალებას რომ შესაქმნელი პროდუქტი სხვადასხვა საშუალბებით წარმოადგინონ.კურიკულუმებში წარმოდგენიალია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. თემები და დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. იკვეთება პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა სასწავლო შინაარსთან ერთად მოსწავლეთა ინტერესის, შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინების კუთხით. მასწავლებლების დამოკიდებულებები ყოველთვის არის პოზიტიური და ცდილობენ წაახალისონ მოსწავლეთა ნებისმიერი, თუნდაც მცირე აქტივობა, მისცენ მათ სტიმული და გავუღვიონ ინტერესი მომავალი სამუშაოსადმი. მაგალითად, ქართულ ენასა და ლირტერატურაში ცნებების დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები ფაქტობრივად ყველა თემის ფარგლებში, ხოლო საბაზო საფეხურის კურიკულუმი ძირითადად თემების, კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სახითაა მოწოდებული, თუმცა კათედრას ამ კლასებშიც აქვს გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. ჩანს, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მაგ.ინგლისური ენა Arts And Festivas),რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება მასწავლებლები ითვალისიეინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა აჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილო

პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ( კურიკულუმის ჩარჩოები, სკოლის თვითშეფასების ფორმა, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია) და მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესშიც ისაუბრეს კურიკულუმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებზე, აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და მოსწავლეების შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ შემდგომ სასწავლო პროცესს, კათედრებისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სამომავლოდ კიდევ მეტად განავითარონ კურიკულუმები.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმში არსებულ გასაუმჯობესებელ მხარეებზე, მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესზე დაკვირვების გაანალიზებით მოხდეს კურიკულუმების დახვეწა და განავითარება სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბაზო საფეხურის ქართული ენის კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**რჩევა:**

**საბაზო საფეხურის ქართული ენის კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით.**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას. თითოეული საგნის ფარგლებში მასწავლებლებმა აღწერეს ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალება და ისაუბრეს იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდნენ სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და რესურსები, რაც ხშირ შემთვევაში ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. ჩანს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარება. ინტერვიუში გააჟღერეს, რომ უცხოური ენების კათედრაზე ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარების მიზნით, ხორციელდება პროექტები, მაგ.„ ჯანსაღი კვება“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა შექმნეს ჯანსაღი საკვების პირამიდა საბუნებისმეტყველო საგნებთან ინტეგრირებით. სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური ბუნების დავალებების

განხორციელების კუთხით, წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებაც. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად  და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას და  უნარებს.

საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული ყველა კომპლექსური დავალება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თავისი უნარების და შესაძლებლობების ფარგლებში, შემოქმედებიდათ შექმნას და წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაო; მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარმოდგენისათვის უვითარდებათ კომუნიკაციის უნარები, ასევე ითანამშრომლოს კლასელებთან, თანაგუნდელებთან, მეწყვილესთან. კომპლექსური დავალების პირობა და მასწავლებლის დეტალური ინსტრუქციები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დავალებაზე მუშაობის დროს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების გზით ცნობიერებაში დაიმკვიდროს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომელთაც სთავაზობს მასწავლებელი კომპლექსური დავალებით. მაგალითად , უცხო ენაში  მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებს (მაგ.საბუნებისეტყველო კათედრასთან ერთად) და წარმოდგენილი აქვთ დამადასტურებელი ვიზუალური მასალა . **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის მიზნობრივად წარმართვისა სახელმწიფო ენის მიმართულებით მიეცა რჩევა, რომ მერვე და მეცხრე კლასის კურიკულუმები გადაიხედოს და დავალებები ისე გაიწეროს, რომ გააქტიურდეს ყველა სამიზნე ცნება.** კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. საბაზო საფეხურზე საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე შემავალი საგნების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) კურიკულუმებში იკვეთება შემდეგი სახის ხარვეზები: კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე შემავალი საგნების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კურიკულუმებში იკვეთება შემდეგი სახის საკითხები:

ზოგიერთ სავალდებულო თემაში არ არის განსაზღვრული არცერთი კომპლექსური დავალების იდეა, შესაბამისად არც კონტექსტ - მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის - ველებია შევსებული. რამდენიმე შემთხვევაში შეტანილია მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის ჩასამატებელია. რიგ შემთხვევებში არ არის შევსებული „გამოყენებული რესურსები“-ს ველი. ისტორიის კურიკულუმში სამიზნე ცნებებთან ზოგ შემთხვევაში ქვესაკითხებია მითითებული ნაცვლად ქვეცნებებისა. მე-8, მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში სავალდებულო თემების- სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი თვითმმართველობა - ნაცვლად წერია საკითხები; სამშვიდობო პროცესების ნაცვლად - სამშვიდობო მისიები;

თითოეული თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს საგნის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება შესაბამის ქვეცნებებთან ერთად, ქვესაკითხები კი გადაიტანეთ საკითხი/საკითხთა კლასტერი- ველში. იქ, სადაც საკითხებთან და ქვესაკითხებთან მითითებული გაქვთ „სახემძღვანელო, გამოცემლობა, პარაგრაფების ნუმერაცია გვერდებთან“ ერთად - მოხსენით ეს უკანასკნელი და გადაიტანეთ ბოლო სვეტში.

მოქალაქეობის საგანში ჩაასწორეთ სავალდებულო თემების ფორმულირება.

**ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**რჩევა:**

**სახელმწიფო ენის მიმართულებით მიეცა რჩევა, რომ მერვე და მეცხრე კლასის კურიკულუმები გადაიხედოს და დავალებები ისე გაიწეროს, რომ გააქტიურდეს ყველა სამიზნე ცნება.**

**თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით უნდა შეივსოს კურიკულუმის შვიდივე სვეტი (თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებთ კომპლექსურ დავალებებს ივსება შემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, გამოყენებული რესურსები.**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით(სასკოლო სასწავლო გეგმა). ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ კომპლექსური დავალებების ადაპტირება და დიფერენცირება ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, ასევე დასტურდება დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში, კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (მაგ.პოსტერი, პრეზენტაცია, დიორამა, მაკეტი). მასწავლებლები, ინტერვიუშიც ადასტურებენ, რომ მოსწავლეს აქვს არჩევანის უფლება, მაგ. კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით, საშუალებით.ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომლებშიც შეტანილი აქვთ მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებებიც, ვიზიტის დასრულებამდე სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია აქტივობები დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით. -პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა , რომ საჭიროების

შემთხვევაში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებს . მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებული აქვთ რამდენიმე არჩევანი, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ დავალებები მათთვის მოსახერხებელი ფორმატით. ერთ-ერთმა მასწავლებელმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კლასში ჰყავს სსსმ მოსწავლე, ის შეიმუშავებს ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს, მაგალითად დახატოს ,ან დახატული გააფერადოს. რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებზე. სკოლაში აქტიურად იყენებენ რემედეაციას, საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილების შემდგომ დამატებით ამეცადინებენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც შეამჩნევენ რომ რომელიმე საკითხი გაუჭირდა ან რაიმე მიზეზით პროგრამა ვერ დაძლია.იყენებენ პროექტებს სადაც სსსმ მოსწავლეს სთავაზობენ მისი უნარების შესაბამისი აქტივობის შესრულებას ისე, რომ ეს არ იყოს განსაკუთრებულად აქცენტირებული და თვალშისაცემი დანარჩენი მოსწავლეებისთვის. ასევე ინკლუზიური განათლების სპეციალურ მასწავლებელთან ერთად ახდენენ კომპლექსური დავალებების და გაკვეთილის გეგმების ადაპტაციას, რაც ყველა მოსწავლეს მისცემს საშუალებას, რომ აქტიურად, უნარების და შესაძლებლობების შესაბამისად ჩაერთოს საგაგკვეთილო პროცესში. სამომავლოდ გეგმავენ არსებული პრაქტიკის მეტად გაღრმავებას „კომპლექსურიდან კომპექსურამდე“ სწავლა სწავლების პრინციპის დანერგვით.

მასწავლებლებმა როგორც გასაუბრების დროს აღნიშნეს ხშირად იყენებენ „როლურ თამაშებს“ სადაც სსსმ მოსწავლეს სთავაზობენ მისი უნარების შესაბამისი როლის შესრულებას ისე, რომ ეს არ იყოს განსაკუთრებულად აქცენტირებული და თვალშისაცემი დანარჩენი მოსწავლეებისთვის. სამომავლოდ გეგმავენ თითოეულ მოსწავლეზე მორგებული კურიკულუმის შემუშავებას, არსებული პრაქტიკის მეტად გაღრმავებას „კომპლექსურიდან კომპექსურამდე“ სწავლა სწავლების პრინციპის დანერგვით და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. სკოლას აქვს ხედვა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. ~**ინდიკატორი 2.1.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

საბაზო საფეხურზე ,სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. . განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებლები იყენებენ პოზიტიურ სიტყვიერ შეფასებას, რათა მოსწავლეებს საფეხურზე განუმტკიცონ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. შეფასების დროს წინა პლანზე აყენებენ მოსწავალის საუკეთესო მიღწევებს, ფრთხილად მივუთითებენ ნაკლოვანებაზე და სახავენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. მოსწავლეებს ასევე აძლევენ ზეპირი თვითშეფასების საშუალებას, ასევე აფასებენ ერთმანეთს. მასწავლებლებს აქვთ შექმნილი შეფასების სქემები, რომლებსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. სკოლამ გადაწყვიტა ,რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკები. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ აღნიშნული რუბრიკები ქართულ ენაში ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ სკოლას

ინტერვიუდან იკვეთება, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და ცდილობენ უკუკავშირი ამათზე დაფუძნებით განახორციელონ. მასწავლებლების მხრიდან, განმავითარებელი შეფასება მოიაზრება, როგორც მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი საშუალება, რათა შეძლონ დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად.

გამოყენებულია თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, კომპლექსურ დავალებებს აფასებენ სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად , შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგემება, მიმდინარე სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოა მოსწავლეებისთვისაც, იმისათვის რომ მოსწავლეებისათვის შეფასება იყოს რელევანტური და ვალიდური მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე აცნობს მოსწავლეებს შესასრულებელი აქტივობის შესაბამის შეფასების რუბრიკებს და აძლევს მათ მოკლე განმარტებას თუ რომელ კომპონენტში როგორ შეფასდებიან. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს თითოეული მოსწავლის მიღწევას, გაკვეთილებზე ქცევას. რჩევა : მათემატიკაში სასურველია მასწავლებლები არ შემოიფარგლონ მხოლოდ სიტყვიერი შეფასებით,ნიმუშის მიხედვით შექმნან შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის.

განმავითარებელი შეფასება სპორტში თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა სასაკის შესაბამისად. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში. რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას არჩეული აქვს დიაგნოსტირების ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში.

  -დაგეგმვის პროცესში საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას , ისინი ინიშნავენ იმ აქტივობებსა და მეთოდებს, რომლებმაც კარგად იმუშავა .სამუშაო შეხვედრებზე, მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა .რომელმა კომპლექსურმა დავალებამ , რომელმა პროექტმა გამოიწვია მათი მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ? და შესაბამისად გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, კათედრების ანგარიშებს, მასწავლებელთა თვითშეფასებას, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. ინტერვიუზე, მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი

კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდება წინარე გამოცდილების გათვალისწინებაზე. შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. კერძოდ, გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. რეფლექსიითვის მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს საშუალებით. მაგალითად, კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, თვითრეფლექსიისთვის, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და სხვა. ყოველივე ამის საფუძველზე ხდება ხარვეზების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა, გამოცდილების გაზიარება. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავლშიც მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და მასწავლებელების თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდება კურიკულუმების გადამუშავება.

**ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

- დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების სქემები ;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების სქემები ;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი
- დიფერენცირებული გაკვეთილის გეგმა
- ინდ გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

## 2.2 **კურიკულუმის განხორციელება**

**2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1.** სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

კურიკულუმით შეთავზებული კომპლექსური ტიპის დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას საკითხის შესახებ არსებული ცოდნიდან გადავიდეს განვითარების უახლოეს ზონაში. ეს დავალებები ითვალისწინებს მოსწავლის ფუნქციურ-კომპლექსურ უნარებს, რომელშიც ჩანს აქტიური სწავლის იდეა. დავალების განხორციელების ეტაპებზე მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი სწავლის პროცესიის მართვა. დავალების შესრულება ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან წარმოსახვის უნარის განვითარებას, შერჩეულია მისთვის ნაცნობი კონტექსტიდან, თუმცა მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს და ეხმარება დამოუკიდებელ აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში" - აღნიშნულია სკოლის თვითშეფასების კითხვარში და ამავე აზრს იზიარებენ საბაზო საფეხურის მასწავლებლები სახელმწიფო ენის მიმართულებით, საგნობრივმა ჯგუფმა განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის მიზნობრივად და შედეგიანად წარმართვისა.საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა . მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევანის მიხედვით დაამზადეს ყვევილების ორანჟერეა, მასში დარგეს ყვევილები . დავალების შესასრულებლად გამოიყენეს სხვადასხვა მასალები. ნაწილმა წარმოადგინა მაკეტი. მეორე ნაწილმა კი ფორმატზე შექმნა მოდელი. სხვადასხვა მასალის ან ფორმის გამოყენების არჩევანი მოსწავლეებს უადვილებთ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შექმნა. .წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან, კომპლექსურ საკითხებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, მოცემული დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად,

საგაკვეთილო პროცესის პარალელურად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ფუნქციონირებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები უფასო წრეების სახით (მაგ. ეკო კლუბი),რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას . ინტერვიუში, აღნიშნეს, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან არჩევანის უფლებით, რაც მათი მხრიდან შემოქმედებითობითი და კრიტიკული უნრების უკეთ გამოვლენის კარგი საშუალებაა. გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას სკოლაში ტარდება სხვადახვა პროექტები, მაგალითად,ინტეგრირებული პროექტი მე-9 კლასში ,, კოტეჯი”.ი

საბაზო კლასების მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კლუბებში და პროექტებში, მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშესაწყობად გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებას და მოსწავლეთა უფრო მეტ სასკოლო აქტივობებში ჩართვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე და ინტერვიუდან გამომდინარე ჩანს, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, არის კლუბები (ინოვატორთა კლუბი), სადაც მოსწავლები აქტიურ შემოქმედებით პროცესში არიან ჩართულნი. ასევე საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად. აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც კომპლექსური დავალებებით სწავლების პრინციპების დანერგვა განიზრახეს სასწავლო პროცესებში, ვინაიდან თავად ამ ტიპის დავალებები გულისხმობს ცოდნის აგების პრინციპების გააქტიურებას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალების პირობები ყოველთვის გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მარტივიდან რთულისკენ სვლას, პრაქტიკული მაგალითებით ცოდნის გამყარებას და ა.შ. ყოველი გაკვეთილი იწყება გასული დავალების, გაკვეთილის გახსენებით, გამოწვევის ფაზაში მასწავლებლის მიერ ხდება ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეების მოტივირება და

მხოლოდ შემდეგ ახალი მასალის მიწოდება, რაც სწავლის პროცესს ხდის ეფექტურს და საინტერესოს. უცხო ენაში პრეზენტაცია,ბუკლეტი,პოსტერი).წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე ხორციელდება სასწავლო პროექტები, კომპლექსური ბუნების დავალებები მაგ. "მუსიკალური ფესტივალი", „ხიდები“. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს გეგმავენ არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი, ინტეგრირებული აქტივობების განხორციელება
საბაზო საფუხურის კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. კომპლექსური დავალების პირობები ხშირად ისეა ფორმულირებული, რომ მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ინტერვიუში გააჟღერეს მზაობა მოსწავლეებს, თემებში შესთავაზონ აზრიანი, შინაარსიანი კონტექსტი, რაც მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. . კურიკულუმებში კომპლექსური დავალების კონტექსტები იმგვარადაა შერჩეული, რომ ახლოს დგას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მას უხდება პრობლემის გადაჭრა, ანალოგიების გაკეთება (დაუკავშიროს საკუთარ გარემოს) ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამთლიანება. მასწავლებელბმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად, რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრა სამომავლოდ გეგმავს არსებული პრაქტიკის გაძლიერებას.

**ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. მაგალითად , მათემატიკაში მოსწავლეები აწარმოებენ თვითშეფასების დღიურებს .

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას. საბოლოო პროდუქტის შექმნა მოითხოვს საკუთარი სასწავლო

საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარებს.ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასება- ზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი მუდმივად ახალისებს მოსწავლეების მხრიდან შესრულებული დავალებების ანალიზს, რაც ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური თვითცნობიერების განვითარებაში.

სწავლა-სწავლებისა და ცხოვრებისეულ სიტუაციაში მისი გამოყენების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს განსხვავებულ ხედვასა და პრობლემებს, ასევე მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური პროცესის, მართვა. ამ დროს მოსწავლეს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარი. სკოლის თვიშეფასების განაცხადშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ასევე პროდუქტიულია სხვადასხვა პროექტები და აქტივობები, რომელიც ხელს უწობს მოსწავლის სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციურ მართვას. სამომავლოდ იგეგმება არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერება. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

საბაზო საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. ინდიკატორი შესაბამისია.

- უცხო ენებში- მაგ. მე-7 კლასში მოცემული კომპლექსური დავალების იდეა (პოსტერის შექმნა თემაზე - სუპერგმირები) გულისხმობს პოსტერის შექმნას მშობლიური და უცხო ქვეყნის სუპერგმირების შესახებ, ამისათვის მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის პოსტერი, რა მიზნით უნდა შექმნას და როგორ ასახოს მასში ნასწავლი. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში და სასწავლო პროექტებში. ინტერვიუში გააჟღერეს, რომ მასწავლებლები

ურთიერთთანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებით აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებს, შედეგებს და ანალიზის საფუძველზე ხელს უწყობენ მოსწავლეთა მხრიდან საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრებას.

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება განხორციელებულ სასკოლო პროექტებსა და წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, დაგეგმილი საკითხების შესწავლაზე მუშაობა და კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება მოსწავლეებში ხელს შეუწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა: თანამშრომლობის, ინფორმაციის მოძიებისა და დახარისხების, კვლევა-ძიებისა და საკუთარი ცოდნის რეალიზების უნარ-ჩვევები. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. „სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს. ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მაგალითად , ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმით გათვალისწინებულ საკითხზე.მაგალითად,ქართულ ენაში მეშვიდე კლასში დაგეგმილი აქვთ შემდეგი კომპლექსური დავალების განხორციელება - ანალიტიკური ესეს დაწერა (ბაზალეთის ტბასთან დაკავშირებული ლეგენდისა და ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბის“ საფუძველზე, რომლის შესასრულებლადაც მოსწავლეს აუცილებლად სჭირდება სხვადასხვა „ცოდნა“: ეპოქის მახასიათებლები, ავტორის მთავარი სათქმელი, თემა, ავტორის ბიოგრაფიული დეტალები და ა.შ. მხოლოდ ამ ცოდნათა გაერთიანებით შეძლებს მოსწავლე დავალების შესრულებას, შესაბამისად, კომპლექსური ხასიათის დავალება ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას

-საბაზო საფეხურის კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად ,, ყვავილების დაგეგმარება'' ოთხი ერთნაირი პერიმეტრისა და განსხვავებული ფორმის საყვავილის გათავსება, ყვავილნარის გაშენება-1მ$^2$-ზე1

ყვავილი;აღნიშნული დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლეს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშიებულად სწავლების საშუალებას აძლევს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს სხვა საგნებში ნასწავლი მასალის უცხო ენასთან ინტეგრირება (მაგ.ხელოვნება). ინტერვიუს პროცესში გააჟღერეს, რომ იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება რუსულ ენაში საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრების და ცოდნათა უთიერთდაკავშირების მიზნით. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხები /დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს უწევს იმუშაოს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებზე, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებას. დაგეგმილი და განხორციელებულ კომპლექსური ბუნების დავალებები უცხო ენაში („ქალაქი რომელსაც უნდა ესტურმო“) ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე და საინტერესო პროდუქტის შემქნაზე. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახდენენ საგანთა ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევთ. ასევე, ინტერვიუდან დასტურდება, რომ კათედრა გეგმავს და ახორციელებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს: მაგ. პროექტი „ ძლიერი მშობელი უსაფრთხო გარემოსთვის„ სადაც მოხდა საბუნებისმეტყველო და უცხო ენის ინტეგრირება, ასევე პროექტი არაფორმალური განათლების მიმართულებით „ებრაული კულტურული მემკვიდრეობა“.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- თვითშეფასების კითხვარი
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- თემატური გეგმები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

- სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, მაგალითად, ქართულ ენაში მეოთხე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალების (ტ. ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას“ პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით) განხორციელება, რომელიც ააქტიურებს სამიზნე ცნება ტექსტს და მის ქვეცნებებს. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც ასევე დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსურ დავალებებში გაწერილი ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას.
წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ უცხო ენებში სასწავლო პროცესში ხდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვესაკითხები და საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. ინტერვიუში გააჟღერეს, რომ თემის ფარგლებში მასწავლებელი ისე არჩევს საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას, მასწავლებელთა ნამუშევრებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას,რომ სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის.

-სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია რა კონტექსტ-მაგალითის საფუძველზე და რომელი რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და ხელს შეუწყობს დაგეგმილი სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას.

**ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: დავალების კომპლექსური კონტესქტი მოსწავლეს უყალიბებს პირობისეულ ცოდნას და აძლევს ამ ცოდნის განზოგადების საშუალებას. ის სწავლობს მოცემულ საგნობრივ კონტექსტში მიღებული ცოდნა სად და როგორ გამოიყენოს. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის ასევე დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და პოზიტიურ განწყობას უყალიბებს მათ სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, კომპლექსური ბუნების დავალებებთან ერთად მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში ასევე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს პროექტულმა სწავლებამ, სადაც ყველაზე ეფექტურად ხდება ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ მდგრადი შედეგების მისაღწევად საჭიროა სწავლის პროცესის მუდმივი მოიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. **ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

-.საბაზო საფეხურის მასწავლებლები განმავითარებელი ე და განმსაზღვრელ შეფასებას აკეთებენ რუბრიკებზე დაყრდნობით. მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი , ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და გეგმავენ შექმნან თემის შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.შეფასების კრიტერიუმები ცნობილია მოსწავლეებისათვის და გამოკრულია ყველა კლასში თვალსაჩინო ადგილას.

- მაგალითად: სადიაგნოსტიკო შეფასება, შემაჯამებლის შეფასების რუბრიკა, სოლო ტაქსონომია და სხვა. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. მასწავლებლები ქმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად, მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასა და წახალისებაზე

**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**-ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან იკვეთება, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. შეფასება ითვალისწინებს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გააჟღერეს, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ და უმარტავენ შეფასების რუბრიკებს,რაც გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ასევე,ღნიშნეს,რომ განმავითარებელი შეფასებები ხელმისაწვდომია მშობლებისთვის, რაც მათ უქმნის სამართლიანობის განცდას საკუთარი შვილის სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესში.

შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეების შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები(რუბრიკები), რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია სწორედ საგნობრივი შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას. შეფასების რუბრიკები წლის დასაწყისში მუშავდება და მტკიცდება კათედრის სხდომაზე, შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების შესაბამისად და განიხილავენ მათთან ერთად. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდაარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომელის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან, ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტაციით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

**ინდიკატორი2.2.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

-სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. ეს არის მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათი შეფასებების შენახვის წესი , რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთანავე, სკოლა განსაზღვრავს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესსა და ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური.სკოლა ინახავს ამ დოკუმენტაციას 3 წლის ვადით. სკოლას აქვს მზაობა, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციაც შეინახოს 3 წლის ვადით. .

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სკოლაში შენახვას მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალის სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ერთი წლის ვადით. სკოლა გამოხატავს მზაობას, უზრუნველყოს მონაცემების შენახვა კანონით გათვალისწინებული პროცედურებისა და ვადის დაცვით.

- **ინდიკატორი . 2.2.2.6. სკოლა ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციისას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- შეფასების სქემები;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში.სკოლაში არსებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, სისტემატურად ხდება გამოცდილების და რეკომენდაციების გაზიარება არა მხოლოდ პედაგოგებს შორის, არამედ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორისაც (მაგ. მშობელი). იგეგმება და ხორციელდება ინტეგრირებული აქტივობები, რაც კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე მიანიშნებს. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ხდება განვლილი სასწავლო წლის შედეგების შეჯამება სასკოლო საზოგადოების წინაშე, რაც პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენაა მიმართული. სკოლას აქვს მზაობა ამ კუთხით განავითაროს არსებული მიდგომები სამომავლოდ. **ინდიკატორი 2.2.3.1 შეესაბამება სტანტარდის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

**ინდიკატორი 2.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები. მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, რაც თანამშრომლობითი და უსაფრთო სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები,მაგ. „ებრაული კულტურული მემკვიდრეობა“ , ასევე პროექტი - ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების შესახებ. ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები ,რომელიც მოსწავლთა საჭიროებებზეა მორგებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ტარდება ინტელექტუალური თამაში: „რა, სად, როდის? სადაც მოსწავლეებთან ერთან ჩართული არიან მშობლებიც, წარნმოდგენილი ანგარიშის (დირექტორის წლიური ანგარიში) თანახმად, ხდება გამარჯვებული გუნდების წახალისება ფასიანი საჩუქრებით. მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ გამოსავლენად კათედრები მუშაობენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის კუთხით, ითვალისწინებენ მასწავლებლების ანგარიშს და მოსწავლეების უკუკავშირს.

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლას სათანადო დონეზე აქვს განვითარებული თანამშრომლობითი კულტურა. კერძოდ, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორციელების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, სააღმზრდელო საათი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), მასწავლებლები ურთიერთთნამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავენ უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. სასკოლო წარმატებების და არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმირებული არიან მშობლები, იმართება მშობელთა კრებები, იგეგემება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლის შედეგების გასაცნობად, ოთხშაბათობით გამოყოფილი აქვთ მშობელთა მიღების საათები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ხშირად გეგმავენ აქტივობებს არაფორმალური განათლების კუთხით, მაგალითად „მხიარული სტარტები“, ასევე ინტელექტუალურ გუნდურ შეჯიბრებებს „ტვინების ბრძოლა“, „რა, სად, როდის“. განხორციელებული ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებას, პოზიტიური გარემოს შექმნას და კლასებს შორის თანამშრომლობას.

**ინდიკატორი 2.2.3.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი იქმნება მთლიანი სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით. კერძოდ, მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო, დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას

სასკოლო სივრცეში. სკოლაში ურთიერთობა დაფუძნებულია ნდობაზე, ურთიერთპატივისცემაზე, ტოლერანტულ და პოზიტიურ გარემოზე, რომელშიც განიხილება თანასწორობა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. განხორციელებული ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებას, პოზიტიური გარემოს შექმნას და კლასებს შორის თანამშრომლობას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ არსებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერდება სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 2.2.3.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის შექმნა , დანერგვა ცირკული პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში ხორციელდება დაკვირვება, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მიღწევებს, მიგნებებს. მსჯელობენ რომელმა აქტივობამ იმუშავა კლასში კარგად, რომელი გაუჭირდათ. კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგს ახდენს სკოლის დირექცია გაკვეთილებზე დასწრებით, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრებით, აკეთებენ ჩანაწერებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც ხდება მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვა ან მოდიფიცირება. სკოლას მონიტორინგის განხორცილების გარკვეული გამოცდილება აქვს. 2022-2023 სასწავლო წელს ჩატარდა კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი საჭირობების დადგენის მიზნით. თუმცა ეს ეს კვლევა არ არის საკმარისი ობიექტური სურათის შესაქმნელად და ამ მიმართულებით სკოლა ეტაპობრივად გააუმჯობესებს მეთოდოლოგიას. გარდა ამისა ხორციელდება ისგ ჯგუფის მონიტორინგი, მონიტორინგის ჯგუფი სკოლას და განათლების სამინისტროს ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. მასწავლებლები აანალიზებენ შემაჯამებელ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს/ საგნის მასწავლებლები განხორციელებული სამუშაოს ანგარიშს წარუდგენენს კათედრის წევრებს და მშობლებს.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს , არის ურთიერთდასწრება , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. დირექციის მიერ ჩატარდა კვლევა, რის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები, როგორიც არის მაგალითად კომპლექსური დავალების განხორცილების პროცესში კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, მოსწავლეთა ინტერესი და სხვა... ყველა საგნობრივ კათედრაზე შედგა გამოკითხვის შედეგების განხილვა დირექციის ჩართულობით. გამოიკვეთა არსებითი ხარვეზები და გაიმართა მსჯელობა, როგორ შეიძლება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. სკოლაში შეიქმნა ციფრული განვითარების გეგმა, დაიგეგმა საზიარო სივრცეების რაციონალური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას (სკოლის თვითშეფასების ფორმა). ინდიკატორი **2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. გარკვეული პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მუდმივი მონიტორინგი, პროცესებზე დაკვირვება და შეფასება მასწავლებლებს ეხმარება საინტერესო ინტერვენციების დაგეგმვაში. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კადრის სხდომის ოქმები
- კურიკულუმი
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

საბაზო საფეხურის კურიკულუმის შესწავლით დგინდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუში, ტესტის ნიმუში განმსაზღვრელი შეფასებისათვის და სხვ. აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;~**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება მრავალი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყოველ საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საგანში განხორციელებული ინტეგრირებული პროექტების შესახებ. მაგ:. პროექტი კულტურულ მემკვიდრების შესახებ და სხვა. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს აგრეთვე, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია. აქედან გამოდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.3.2.2 შეესაბამება სტანდარტსი მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადსახვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

ისევე როგორც ინტერვიუს დროს, ისე წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ფიზიკურ მომზადებას, ასაკს, სქესს და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს შეფასების დროს. აუცილებელია წინარე გამოდილების გათვალისწინებაც. იმისათვის, რომ შეფასება იყოს ობიექტური აუცილებელია გავითვალისწინოთ ზემოთ ხსენებული ფაქტორები, რასაც იაზრებენ მასწავლებელები. **ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმების შემუშავება სკოლაში განხორციელების პროცესშია, კურიკულუმის შემუშავებასთან ერთად დაგეგმილია მისი განვითარებისა და სარეკომენდაციო პაკეტის მომზადებისთვის სხვადასხვა ქმედებები. სკოლა გეგმავს კურიკულუმის განვითარებისთვის, განხორციელების პროცესში შეაგროვოს მონაცემები სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგალითად, გეგმავს გამოკითხვასა და ინტერვიუებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, აგრეთვე, სკოლა გეგმავს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებისთვის გამოიყენოს მასწავლებელთა რეფლექსიები, კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზები, გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები და ამის საფუძველზე დაგეგმონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი.

აგრეთვე სკოლას მომზადებული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები სხვადასხვა საგნებში ყველა საფეხურზე, რათა ობიექტურად შეაფასოს მიმდინარე პროცესები სკოლაში და დროულად შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

**ინდიკატორი 2.4.1.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.** სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმი ეფუძნებოდეს მიმდინარე წლის კურიკულუმის ანალიზს, რათა სისტემური შეფასების და მონიტორინგის შედეგები ასახონ კურიკულუმში. ამისათვის სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის სისტემა, დოკუმენტში აღწერილი აქვს კურიკულუმის შეფასების პროცესები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას აქვს მცდელობა  კურიკულუმი ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას, რაც წარმოდგენილი იყო მაგალითად - მათემატიკის მასწავლებლის პორტფოლიოში, სადაც ის აღწერს საკუთარ მუშაობის პროცესს - აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და საჭიროებიდან გამომდინარე შეაქვს ცვლილება თემატურ ერთეულში,  სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე წარმოდგენილი იყო გეოგრაფიის მასწავლებლის  პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა - "გეოგრაფიის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა", რის საფუძველზეც მასწავლებელს შემუშავებული ჰქონდა რეკომენდაციები კოლეგებისთვის.

**ინდიკატორი 2.4.1.2.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებლის თვითშეფასების ფორმები;
- კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი რუბრიკა;
- კომპლექსური დავალების განმავითარებელი  რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით ;
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და ახორციელებს საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კათედრის წევრები ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლები, თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმების შემუშავების და განვითარების პროცესში , ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და გამოცდილებას, შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის კლასების სუსტ და ძლიერ მხარეებზე. საბაზო საფეხურზე იმართება შეხვედრები მშობლებთან კურიკულუმის შემუშავებისას მათი შეხედულებების, პრიორიტეტების და ინტერესების გამოკვეთა/გაზიარებისთვის. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სკოლაში შექმნილია ჯგუფი ,რომელიც განიხილავს ფაქტორებს, რომლებიც უწყობდა/უშლიდა ხელს მშობელთა კუმუნიკაციის პროცესს.**ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოხოვნებს**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში ბიოლოგიის ,ქიმიის და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ მშბლებთან ურთირთთანამშრობლობით

და  მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები  და პრიორიტეტები. მომავალ  საწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით  ჩაერთვებიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შექმნილია ჯგუფი ,რომელის შეიმუშავებს კითხვარს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, რასაც გაიზიარებენ საბუნებისმეტყველო კათედრის საგნის მასწავლებლებიც. პედაგოგები მეტად გამოიყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს,  მოსწავლის შესაძლებლობებზე და უნარებზე მორგებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს.  **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოხოვნებს**

**ინდიკატორი 3.  კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სსიპ -მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო  სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ. შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო კათედრების ყველა წევრმა. აღნიშნული დადასტურდა  საშუალო  საფეხურის  მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს.  შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელმა პედაგოგებმა გადაინაწილეს სამუშაო, კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე.მშობლებს წლის დასაწყისში აცნობენ  საგნობრივ კურიკულუმს და კომპლექსური დავალებების თემატიკას, ასევე აქვთ მშობლებთან სისტემატიური ონლაინ და სატელეფონო კომუნიკაცია დავალებების შესრულების ინსტრუქციების უკეთესად გაგების  მოსწავლეთა შედეგების გაზიარების მიზნით; პარალელური კლასის პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და  ძირითადი საკითხების განაწილებაზე. კომპლექსური დავალების შემუშავებისას გათვალისწინებულია ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი მოსწავლეთა საჭიროებები და წინარე ცოდნა. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების და კათედრის  მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით  ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო“, უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები, წარმოდგენილი შემაჯამებლების ანალიზები, მოსწავლეთა მიერ შესავსები შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ტესტები დიაგნოსტიკური შეფასებებისთვის, ისგ-ები ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შემუშავებულია საგნობრივ კათედრაზე, შედეგი მიეწოდება ადმინისტრაციას,კომპლექსური დავალებების ბარათები მუშავდება მშობლებისათვის გასაგზავნად.არსებული კურიკულუმების ჩარჩოები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად ყველა ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება,კომპლექსური დავალებების პირობები და სადამრიგებლო პროგრამები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერსებული პირისათვის. ასევე მშობლების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ ხდება სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრებების მეშვეობით.სკოლას აქვს ვებ გვერდი , სოციალური ქსელის გვერდი რომლის საშუალებითაც სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია მიწოდებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლის ვებგვერდზე განთავსებუკლია სასკოლო სასწვლო გეგმა. საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და მტკიცებულებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები, სასწავლო და სოციალური პროექტები. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. აღსანიშნავია , რომ სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს,რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს მასწავლებლებმაც ისაუბრეს იმის შესახებ, რომ რეგულარულად განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმის დახვეწისა და განვითარების შესახებ, მშობლებთან და მოსწავლეებთან აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, ჩაატარეს გამოკითხვა მოსწავლეთა ინტერესების განსასაზღვრად, რათა განესაზღვრათ შესაბამისი სასწავლო მასალა. **ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინტერესთა კვლევის დოკუმენტი
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები . წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება . შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს მთელი წლის მანძილზე , აანალიზებენ საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების პირობაში ყოველთვის ითვალისწინებენ სხვადასხვა მზაობის მოსწავლეების შესაძლებლობებს, აძლევენ მათ საშუალებას რომ შესაქმნელი პროდუქტი სხვადასხვა საშუალებით წარმოადგინონ.კურიკულუმებში წარმოდგენიალია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. თემები და დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. იკვეთება პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა სასწავლო შინაარსთან ერთად მოსწავლეთა ინტერესის, შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინების კუთხით. მასწავლებლების დამოკიდებულებები ყოველთვის არის პოზიტიური და ცდილობენ წაახალისონ მოსწავლეთა ნებისმიერი, თუნდაც მცირე აქტივობა, მისცენ მათ სტიმული და გავუღვიონ ინტერესი მომავალი სამუშაოსადმი. მაგალითად, ქართულ ენასა და ლირტერატურაში ცნებების დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები ფაქტობრივად ყველა თემის ფარგლებში, ხოლო პირველ ოთხწლედის კურიკულუმი ძირითადად თემების, კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სახითაა მოწოდებული, თუმცა კათედრას ამ კლასებშიც აქვს გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. ჩანს, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და

დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მასწავლებლები ითვალისიეინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა აჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილო პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ( კურიკულუმის ჩარჩოები, სკოლის თვითშეფასების ფორმა, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია) და მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესშიც ისაუბრეს კურიკულუმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებზე, აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და მოსწავლეების შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ შემდგომ სასწავლო პროცესს, კათედრებისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სამომავლოდ კიდევ მეტად განავითარონ კურიკულუმები.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმში არსებულ გასაუმჯობესებელ მხარეებზე, მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესზე დაკვირვების გაანალიზებით მოხდეს კურიკულუმების დახვეწა და განავითარება სკოლას მიეცა რჩევა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმები, კერძოდ ქართული ენის მე-11 და მე-12 კლასებისთვის, შეავსონ სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გავალისწინებით **ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**რჩევა;**

**საშუალო საფეხურის კურიკულუმები, კერძოდ ქართული ენის მე-11 და მე-12 კლასებისთვის, შეივსოს თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გავალისწინებით**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას. თითოეული საგნის ფარგლებში მასწავლებლებმა აღწერეს ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალება და ისაუბრეს იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდნენ

საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული ყველა კომპლექსური დავალება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თავისი უნარების და შესაძლებლობების ფარგლებში, შემოქმედებიდათ შექმნას და წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაო; მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარმოდგენისათვის უვითარდებათ კომუნიკაციის

უნარები, ასევე ითანამშრომლოს კლასელებთან, თანაგუნდელებთან, მეწყვილესთან. კომპლექსური დავალების პირობა და მასწავლებლის დეტალური ინსტრუქციები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დავალებაზე მუშაობის დროს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების გზით ცნობიერებაში დაიმკვიდროს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომელთაც სთავაზობს მასწავლებელი კომპლექსური დავალებით. მაგალითად , უცხო ენაში მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებს (მაგ.საბუნებისეტყველო კათედრასთან ერთად) და წარმოდგენილი აქვთ დამადასტურებელი ვიზუალური მასალა . კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. რჩევა: საშუალო საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლებმა, უმოკლეს ვადაში განაახლონ და შექმნან კურიკულუმები ყველა კლასისთვის. ზოგიერთ სავალდებულო თემაში არ არის განსაზღვრული არცერთი კომპლექსური დავალების იდეა, შესაბამისად არც კონტექსტ - მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის - ველებია შევსებული. რამდენიმე შემთხვევაში შეტანილია მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის ჩასამატებელია. რიგ შემთხვევებში არ არის შევსებული „გამოყენებული რესურსები“-ს ველი.

**ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**რჩევა:**

**საშუალო საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლებმა , უმოკლეს ვადაში განაახლონ და შექმნან კურიკულუმები ყველა კლასისთვის. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით უნდა შეივსოს კურიკულუმის შვიდივე სვეტი (თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებთ კომპლექსურ დავალებებს ივსება შემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, გამოყენებული რესურსები. თითოეული თემის ფარგლებში უნდა ჩანდეს საგნის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება შესაბამის ქვეცნებებთან ერთად.**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფები მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით(სასკოლო სასწავლო გეგმა). ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს. ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ კომპლექსური დავალებების ადაფტირება და დიფერენცირება ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, ასევე დასტურდება დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში, კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა,

დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (მაგ.პოსტერი, პრეზენტაცია, დიორამა, მაკეტი). მასწავლებლები, ინტერვიუშიც ადასტურებენ, რომ მოსწავლეს აქვს არჩევანის უფლება, მაგ. კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით, საშუალებით.ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომლებშიც შეტანილი აქვთ მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებებიც, ვიზიტის დასრულებამდე სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია აქტივობები დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით. -პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა , რომ საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებს . მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებული აქვთ რამდენიმე არჩევანი, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ დავალებები მათთვის მოსახერხებელი ფორმატით. შეიმუშავებენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს, მაგალითად, მოსწავლემ დახატოს ,ან დახატული გააფერადოს. რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებზე. სკოლაში აქტიურად იყენებენ რემედეაციას, საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილების შემდგომ დამატებით ამეცადინებენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც შეამჩნევენ რომ რომელიმე საკითხი გაუჭირდა ან რაიმე მიზეზით პროგრამა ვერ დაძლია.წარმოდგენილი დოკუმენტაციის(სასკოლო სასწავლო გეგმა,ისგ) თანახმად, სკოლაში ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. ინდივიდულაური სასწავლო გეგმა იქმნება უშუალოდ მოსწავლის საგნის მასწავლებლების,დამრიგებელის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის და ინკლუზიური განათლების ექსპერტის რეკომენდაციებით. საჭიროების შემთხვევაში, გეგმა ექვემდებარება გადახედვას და კორექტირებას. სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა არჩევანის უფლება , მაგ. მე-12 კლასში მოსწავლეები ქმნიან პრეზენტაციას, სადაც თავად ირჩევენ სასურველი ქვეყნის ტრადიციულ კერძებს და ისე ასრულებენ დავალებას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები ქმნიან მრავალფეროვან პროდუქტს სხვადასხვა საშუალებებით: პრეზენტაცია, ესე, პოსტერი, წერილი, სტატია. გასაუბრებაზე გააჟღერეს, რომ პედაგოგებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ გარემოს, რესურსების და აქტივობების მოდიფიცირება სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

**~ინდიკატორი 2.1.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

- საშულაო საფეხურზე ,სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. . განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებლები იყენებენ პოზიტიურ სიტყვიერ შეფასებას, რათა მოსწავლეებს საფეხურზე განუმტკიცონ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. შეფასების დროს წინა პლანზე აყენებენ მოსწავალის საუკეთესო მიღწევებს, ფრთხილად მივუთითებენ ნაკლოვანებაზე და სახავენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. მოსწავლეებს ასევე აძლევენ ზეპირი თვითშეფასების საშუალებას, ასევე აფასებენ ერთმანეთს. მასწავლებლებს აქვთ შექმნილი შეფასების სქემები, რომლებსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. სკოლამ გადაწყვიტა ,რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკები. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ აღნიშნული რუბრიკები ქართულ ენაში ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააკონკრეტოს და დაუკავშიროს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებს.

- მათემატიკის მასწავლებლებს მიეცა რჩევა წარმოადგინეს ყველა კლასისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების თითო ნიმუში ,სასურველია მათ შექმნან მსგავსი სქემები ყველა კლასისთვის. **სასურველია მასწავლებლები არ შემოიფარგლონ მხოლოდ სიტყვიერი შეფასებით, ნიმუშად წარმოდგენილი შეფასების სქემების მსავსად, ყველა კლასისთვის შექმნან შეფასების რუბრიკები.**

-ინტერვიუდან იკვეთება, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და ცდილობენ უკუკავშირი ამათზე დაფუძნებით განახორციელონ. მასწავლებლების მხრიდან, განმავითარებელი შეფასება მოიაზრება, როგორც მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი საშუალება, რათა შეძლონ დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად.

გამოყენებულია თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, კომპლექსურ დავალებებს აფასებენ სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად , შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგემება, მიმდინარე სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოა მოსწავლეებისთვისაც, იმისათვის რომ მოსწავლეებისათვის შეფასება იყოს რელევანტური და ვალიდური მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე აცნობს მოსწავლეებს შესასრულებელი აქტივობის შესაბამის შეფასების რუბრიკებს და აძლევს მათ მოკლე განმარტებას თუ რომელ კომპონენტში როგორ შეფასდებიან. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს თითოეული მოსწავლის მიღწევას, გაკვეთილებზე ქცევას.

**2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**რჩევა:**

**მათემატიკაში ყველა კლასისათვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკა, განმსაზღვრელი და განმავიტარებელი შეფასებისათვის.**

**ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

დაწყებით საფეხურზე სკოლა ეყრდნობა ჯიპრაიდის ტესტებს, რომლებსაც იყენებს დიაგნოსტირებისათვის, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუებში მათემატიკასა და ქართულში ატარებენ ხოლმე ასეთ ტესტირებებს და ამის საფუძველზე გეგმავენ შემდგომ პროცესებს. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას არჩეული აქვს დიაგნოსტირების ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში.

-დაგეგმვის პროცესში საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას , ისინი ინიშნავენ იმ აქტივობებსა და მეთოდებს, რომლებმაც კარგად იმუშავა .სამუშაო შეხვედრებზე, მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა .რომელმა კომპლექსურმა დავალებამ , რომელმა პროექტმა გამოიწვია მათი მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ? და შესაბამისად გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, კათედრების ანგარიშებს, მასწავლებელთა თვითშეფასებას, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. ინტერვიუზე, მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდება წინარე გამოცდილების გათვალისწინებაზე. შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. კერძოდ, გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. რეფლექსიითვის მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს საშუალებით. მაგალითად, კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, თვითრეფლექსიისთვის, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და სხვა. ყოველივე ამის საფუძველზე ხდება ხარვეზების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა, გამოცდილების გაზიარება. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავლშიც მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და მასწავლებელების თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდება კურიკულუმების გადამუშავება.

**ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

- დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩოები;

- შეფასების სქემები ;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები ;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი
- დიფერენცირებული გაკვეთილის გეგმა
- ინდ გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის განხორციელება**

**2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1.** სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

კურიკულუმით შეთავზებული კომპლექსური ტიპის დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას საკითხის შესახებ არსებული ცოდნიდან გადავიდეს განვითარების უახლოეს ზონაში. დავალებები, რომლებიც შერჩეულია კათედრების მიერ , ითვალისწინებს მოსწავლის ფუნქციურ-კომპლექსურ უნარებს, რომელშიც ჩანს აქტიური სწავლის იდეა. დავალების განხორციელების ეტაპებზე მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესიის მართვა. დავალების შესრულება ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან წარმოსახვის უნარის განვითარებას, შერჩეულია მისთვის ნაცნობი კონტექსტიდან, თუმცა მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს და ეხმარება დამოუკიდებელ აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში" - აღნიშნულია სკოლის თვითშეფასების კითხვარში და ამავე აზრს იზიარებენ საშუალო საფეხურის მასწავლებლები სახელმწიფო ენის მიმართულებით, საგნობრივმა ჯგუფმა განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის მიზნობრივად და შედეგიანად წარმართვისა.საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა . მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევანის მიხედვით დაამზადეს ყვევილების ორანჟერეა, მასში დარგეს ყვევილები . დავალების შესასრულებლად გამოიყენეს სხვადასხვა მასალები. ნაწილმა წარმოადგინა მაკეტი. მეორე ნაწილმა კი ფორმატზე შექმნა მოდელი. სხვადასხვა მასალის ან ფორმის გამოყენების არჩევანი მოსწავლეებს უადვილებთ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შექმნა. .წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან, კომპლექსურ საკითხებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, მოცემული დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ფუნქციონირებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები უფასო წრეების სახით (მაგ. ეკო კლუბი),რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას . ინტერვიუში, აღნიშნეს, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან არჩევანის უფლებით, რაც მათი მხრიდან შემოქმედებითობითი და კრიტიკული უნრების უკეთ გამოვლენის კარგი საშუალებაა. გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას

საშუალო კლასების მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კლუბებში და პროექტებში, მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშესაწყობად გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებას და მოსწავლეთა უფრო მეტ სასკოლო აქტივობებში ჩართვას.ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები (წერილი, საინფორმაციო ბუკლეტი, კედლის გაზეთი,დიორამა, კომიქსი და სხვა.). არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება და დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას,

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე და ინტერვიუდან გამომდინარე ჩანს, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, არის კლუბები (ინოვატორთა კლუბი), სადაც მოსწავლები აქტიურ შემოქმედებით პროცესში არიან ჩართულნი. ასევე საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად. აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც კომპლექსური დავალებებით სწავლების პრინციპების დანერგვა განიზრახეს სასწავლო პროცესებში, ვინაიდან თავად ამ ტიპის დავალებები გულისხმობს ცოდნის აგების პრინციპების გააქტიურებას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალების პირობები ყოველთვის გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მარტივიდან რთულისკენ სვლას, პრაქტიკული მაგალითებით ცოდნის გამყარებას და ა.შ. ყოველი გაკვეთილი იწყება გასული დავალების, გაკვეთილის გახსენებით, გამოწვევის ფაზაში მასწავლებლის მიერ ხდება ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეების მოტივირება და მხოლოდ შემდეგ ახალი მასალის მიწოდება, რაც სწავლის პროცესს ხდის ეფექტურს და საინტერესოს.

საშუალო საფუხურის კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. კომპლექსური დავალების პირობები ხშირად ისეა ფორმულირებული, რომ მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ინტერვიუში გააჟღერეს მზაობა მოსწავლეებს, თემებში შესთავაზონ აზრიანი, შინაარსიანი კონტექსტი, რაც მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. . კურიკულუმებში კომპლექსური დავალების კონტექსტები იმგვარადაა შერჩეული, რომ ახლოს დგას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მას უხდება პრობლემის გადაჭრა, ანალოგიების გაკეთება (დაუკავშიროს საკუთარ გარემოს) ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამთლიანება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად,

რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრა სამომავლოდ გეგმავს არსებული პრაქტიკის გაძლიერებას.

**ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. მაგალითად , მათემატიკაში მოსწავლეები აწარმოებენ თვითშეფასების დღიურებს .

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას. საბოლოო პროდუქტის შექმნა მოითხოვს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარებს.ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასება- ზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი მუდმივად ახალისებს მოსწავლეების მხრიდან შესრულებული დავალებების ანალიზს, რაც ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური თვითცნობიერების განვითარებაში.

სწავლა-სწავლებისა და ცხოვრებისეულ სიტუაციაში მისი გამოყენების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს განსხვავებულ ხედვასა და პრობლემებს, ასევე მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური პროცესის, მართვა. ამ დროს მოსწავლეს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარი. სკოლის თვიშეფასების განაცხადშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ასევე პროდუქტიულია სხვადასხვა პროექტები და აქტივობები, რომელიც ხელს უწობს მოსწავლის სწავლის, როგორც ქცევის სოციო-

ემოციურ მართვას. სამომავლოდ იგეგმება არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერება. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

საშუალო საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე . მაგალითად, მათემატიკაშიდაგეგმილია კომპლექსური დავალება ,, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი 10 ქვეყანა და ინტერნეტიზაცია ”განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.

კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება მოსწავლეებში ხელს შეუწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა: თანამშრომლობის, ინფორმაციის მოძიებისა და დახარისხების, კვლევა-ძიებისა და საკუთარი ცოდნის რეალიზების უნარ-ჩვევები. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

-

**ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა

ცოდნის გამოყენება. „სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს. ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმით გათვალისწინებულ საკითხზე ,,ინტერვიუ ჩემს საყვარელ პერსონაჟთან " ჩატარდა ექსპერიმენტი. მოსწავლეებმა, ინტერვიუს სრულყოფის გათვალისწინებით, მოაწყვეს პრეზენტაციები აღნიშნულ საკითხზე" .

-საშუალო კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად,მათემატიკაში ,, ყვავილების დაგეგმარება'' ოთხი ერთნაირი პერიმეტრისა და განსხვავებული ფორმის საყვავილის გათავსება, ყვავილნარის გაშენება-1მ²-ზე1 ყვავილი ;აღნიშნული დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლეს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშიებულად სწავლების საშუალებას აძლევს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს სხვა საგნებში ნასწავლი მასალის უცხო ენასთან ინტეგრირება (მაგ.ხელოვნება). ინტერვიუს პროცესში გააჟღერეს, რომ იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება რუსულ ენაში საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრების და ცოდნათა უთიერთდაკავშირების მიზნით.

კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების პროცესში უხდება წინა მასალის ან სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ასევე ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილები საგნებს შორის და არაფორმალური აქტივობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არსებული პრაქტიკა კვლავაც გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

- თვითშეფასების კითხვარი
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- თემატური გეგმები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

- სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, მაგალითად, ქართულ ენაში მეოთხე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალების (ტ. ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას“ პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით) განხორციელება, რომელიც ააქტიურებს სამიზნე ცნება ტექსტს და მის ქვეცნებებს. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც ასევე დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსურ დავალებებში გაწერილი ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ უცხო ენებში სასწავლო პროცესში ხდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვესაკითხები და საკითხები

მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. ინტერვიუში გააჟღერეს, რომ თემის ფარგლებში მასწავლებელი ისე არჩევს საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას, მასწავლებელთა ნამუშევრებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას,რომ სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის.

-სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია რა კონტექსტ-მაგალითის საფუძველზე და რომელი რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და ხელს შეუწყობს დაგეგმილი სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას.

**ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: დავალების კომპლექსური კონტესქტი მოსწავლეს უყალიბებს პირობისეულ ცოდნას და აძლევს ამ ცოდნის განზოგადების საშუალებას. ის სწავლობს მოცემულ საგნობრივ კონტექსტში მიღებული ცოდნა სად და როგორ გამოიყენოს. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის ასევე დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და პოზიტიურ განწყობას უყალიბებს მათ სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, კომპლექსური ბუნების დავალებებთან ერთად მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში ასევე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს პროექტულმა სწავლებამ, სადაც ყველაზე ეფექტურად ხდება ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ მდგრადი შედეგების მისაღწევად საჭიროა სწავლის პროცესის მუდმივი მოიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. **ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

-.საშუალო საფეხურის მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში კი როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი , ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და გეგმავენ შექმნან თემის შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.შეფასების კრიტერიუმები ცნობილია მოსწავლეებისათვის და გამოკრულია ყველა კლასში თვალსაჩინო ადგილას.

- 
- მაგალითად: სადიაგნოსტიკო შეფასება, შემაჯამებლის შეფასების რუბრიკა, სოლო ტაქსონომია და სხვა. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. მასწავლებლები ქმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად, მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასა და წახალისებაზე

**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**-ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან იკვეთება, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. შეფასება ითვალისწინებს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გააჟღერეს, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ და უმარტავენ შეფასების რუბრიკებს,რაც გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ასევე,ღნიშნეს,რომ განმავითარებელი შეფასებები ხელმისაწვდომია მშობლებისთვის, რაც მათ უქმნის სამართლიანობის განცდას საკუთარი შვილის სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესში.

შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეების შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები(რუბრიკები), რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია სწორედ საგნობრივი შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის

დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას. შეფასების რუბრიკები წლის დასაწყისში მუშავდება და მტკიცდება კათედრის სხდომაზე, შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების შესაბამისად და განიხილავენ მათთან ერთად. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდაარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომელის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან, ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტაციით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

**ინდიკატორი2.2.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

-სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. ეს არის მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათი შეფასებების შენახვის წესი , რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთანავე, სკოლა განსაზღვრავს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესსა და ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური.სკოლა ინახავს ამ დოკუმენტაციას 3 წლის ვადით. სკოლას აქვს მზაობა, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციაც შეინახოს 3 წლის ვადით. .

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სკოლაში შენახვას მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალის სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ერთი წლის ვადით. სკოლა გამოხატავს მზაობას, უზრუნველყოს მონაცემების შენახვა კანონით გათვალისწინებული პროცედურებისა და ვადის დაცვით.

**. ინდიკატორი 2.2.2.6. სკოლა ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციისას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- შეფასების სქემები;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში.სკოლაში

არსებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, სისტემატურად ხდება გამოცდილების და რეკომენდაციების გაზიარება არა მხოლოდ პედაგოგებს შორის, არამედ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორისაც (მაგ. მშობელი). იგეგმება და ხორციელდება ინტეგრირებული აქტივობები, რაც კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე მიანიშნებს. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ხდება განვლილი სასწავლო წლის შედეგების შეჯამება სასკოლო საზოგადოების წინაშე, რაც პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენაა მიმართული. სკოლას აქვს მზაობა ამ კუთხით განავითაროს არსებული მიდგომები სამომავლოდ. **ინდიკატორი 2.2.3.1 შეესაბამება სტანტარდის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, რაც თანამშრომლობითი და უსაფრთო სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ გამოსავლენად სკოლა ახორციელებს არაფორმალურ აქტივობებს,სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სასკოლო კლუბების მუშაობა,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლას სათანადო დონეზე აქვს განვითარებული თანამშრომლობითი კულტურა. კერძოდ, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორციელების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, სააღმზრდელო საათი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), მასწავლებლები ურთიერთთნამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავენ უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. სასკოლო წარმატებების და არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმირებული არიან მშობლები, იმართება მშობელთა კრებები, იგეგემება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლის შედეგების გასაცნობად, ოთხშაბათობით გამოყოფილი აქვთ მშობელთა მიღების საათები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.3.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი იქმნება მთლიანი სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით. კერძოდ, მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო, დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო სივრცეში. სკოლაში ურთიერთობა დაფუძნებულია ნდობაზე, ურთიერთპატივისცემაზე, ტოლერანტულ და პოზიტიურ გარემოზე, რომელშიც განიხილება თანასწორობა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. განხორციელებული ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებას, პოზიტიური გარემოს შექმნას და კლასებს შორის თანამშრომლობას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ არსებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერდება სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 2.2.3.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის შექმნა , დანერგვა ცირკული პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში ხორციელდება დაკვირვება, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მიღწევებს, მიგნებებს. მსჯელობენ რომელმა აქტივობამ იმუშავა კლასში კარგად, რომელი გაუჭირდათ. კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგს ახდენს სკოლის დირექცია გაკვეთილებზე დასწრებით, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრებით, აკეთებენ ჩანაწერებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც ხდება მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვა ან მოდიფიცირება. სკოლას მონიტორინგის განხორცილების გარკვეული გამოცდილება აქვს. 2022-2023 სასწავლო წელს ჩატარდა კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი საჭირობების დადგენის მიზნით. თუმცა ეს ეს კვლევა არ არის საკმარისი ობიექტური სურათის შესაქმნელად და ამ მიმართულებით სკოლა ეტაპობრივად გააუმჯობესებს მეთოდოლოგიას. გარდა ამისა ხორციელდება ისგ ჯგუფის მონიტორინგი, მონიტორინგის ჯგუფი სკოლას და განათლების სამინისტროს ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. მასწავლებლები აანალიზებენ შემაჯამებელ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს/ საგნის მასწავლებლები განხორციელებული სამუშაოს ანგარიშს წარუდგენენს კათედრის წევრებს და მშობლებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს , არის ურთიერთდასწრება , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. დირექციის მიერ ჩატარდა კვლევა, რის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები, როგორიც არის მაგალითად კომპლექსური დავალების განხორცილების პროცესში კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, მოსწავლეთა ინტერესი და სხვა...

ყველა საგნობრივ კათედრაზე შედგა გამოკითხვის შედეგების განხილვა დირექციის ჩართულობით. გამოიკვეთა არსებითი ხარვეზები და გაიმართა მსჯელობა, როგორ შეიძლება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. სკოლაში შეიქმნა ციფრული განვითარების გეგმა, დაიგეგმა საზიარო სივრცეების რაციონალური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას (სკოლის თვითშეფასების ფორმა). ინდიკატორი **2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. გარკვეული პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მუდმივი მონიტორინგი, პროცესებზე დაკვირვება და შეფასება მასწავლებლებს ეხმარება საინტერესო ინტერვენციების დაგეგმვაში. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კადრის სხდომის ოქმები
- კურიკულუმი
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმის შესწავლით დგინდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუში, ტესტის ნიმუში განმსაზღვრელი შეფასებისათვის და სხვ. აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება მრავალი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყოველ საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საგანში განხორციელებული ინტეგრირებული პროექტების შესახებ. მაგ:. პროექტი კულტურულ მემკვიდრეების შესახებ და სხვა. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს აგრეთვე, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია. აქედან გამოდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.3.2.2 შეესაბამება სტანდარტსი მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებს**

**ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

ისევე როგორც ინტერვიუს დროს, ისე წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ფიზიკურ მომზადებას, ასაკს, სქესს და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს შეფასების დროს. აუცილებელია წინარე გამოდილების გათვალისწინებაც. იმისათვის, რომ შეფასება იყოს ობიექტური აუცილებელია გავითვალისწინოთ ზემოთ ხსენებული ფაქტორები, რასაც იაზრებენ მასწავლებელები. **ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმების შემუშავება სკოლაში განხორციელების პროცესშია, კურიკულუმის შემუშავებასთან ერთად დაგეგმილია მისი განვითარებისა და სარეკომენდაციო პაკეტის მომზადებისთვის სხვადასხვა ქმედებები. სკოლა გეგმავს კურიკულუმის განვითარებისთვის, განხორციელების პროცესში შეაგროვოს მონაცემები სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგალითად, გეგმავს გამოკითხვასა და ინტერვიუებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, აგრეთვე, სკოლა გეგმავს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებისთვის გამოიყენოს მასწავლებელთა რეფლექსიები, კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზები, გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები და ამის საფუძველზე დაგეგმონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. აგრეთვე სკოლას მომზადებული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები სხვადასხვა საგნებში ყველა საფეხურზე, რათა ობიექტურად შეაფასოს მიმდინარე პროცესები სკოლაში და დროულად შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

**ინდიკატორი 2.4.1.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.** სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმი ეფუძნებოდეს მიმდინარე წლის კურიკულუმის ანალიზს, რათა სისტემური შეფასების და მონიტორინგის შედეგები ასახონ კურიკულუმში. ამისათვის სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის სისტემა, დოკუმენტში აღწერილი აქვს კურიკულუმის შეფასების პროცესები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას აქვს მცდელობა კურიკულუმი ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას, რაც წარმოდგენილი იყო მაგალითად - მათემატიკის მასწავლებლის პორტფოლიოში, სადაც ის აღწერს საკუთარ მუშაობის პროცესს - აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და საჭიროებიდან გამომდინარე შეაქვს ცვლილება თემატურ ერთეულში, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე წარმოდგენილი იყო გეოგრაფიის მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა - "გეოგრაფიის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა", რის საფუძველზეც მასწავლებელს შემუშავებული ჰქონდა რეკომენდაციები კოლეგებისთვის.

**ინდიკატორი 2.4.1.2.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებლის თვითშეფასების ფორმები;
- კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი რუბრიკა;
- კომპლექსური დავალების განმავითარებელი  რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით ;
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

შეფასება:

*გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

28.11.2023

თარიღი